სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი 18 ივლისი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 40 კაპ.

**გაზეთის ფასი:** 1 თვით 9 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почт. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 149 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 149

მცირე კოლექტივი ს. დ. მ. პ. ქალაქის ტრამვაის მოძრაობის, აუწყებს ამხანაგებს და მეგობრებს პარტიულ წევრის

**კონსტანტინე ნიკოლოზის ძე წითლიევის**

გარდაცვალებას, გამოსვენება მოხდება საკუთარ სახლიდან, ქუთაისის ქუჩა № 14. ხუთშაბათს დილით 9 ნახ. საათზე დიდუბის ეკლესიაში. საიდანაც წაასვენებენ წმინდა ნინოს სასაფლაოზე. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე. (2—2)

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: მამა იულო, დედა ალათი, მეუღლე ფატმანე, ძმები: მელქისედექ და რაფიელ, რძალი ლიუბა, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს 20 ივლისს (ახალი სტილით) სოფ. აცანის ღვთის მშობლის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გმირულად დაღუპული ოსმალებთან ბრძოლაში ქალ. ოზურგეთში

**ავქსენტი იულოს ძე ჩხაიძის**

სულის მოსახსენებლათ. (1—1)

გულ დათუთქული მშობლები: დედა თედოსი ქუთათელაძისა, მამა ბარისო ქუთათელაძე, ძმები: ივანე და მიშა ქუთათელაძეები, დები: ანნა ქუთათელაძე და ცუცუ სალუქვაძისა და სიძე მელიტონ დიმიტრის ძე სალუქვაძე უღრმეს მადლობას ვწირავთ ყველა იმ პირთ, ვინც მონაწილეობა მიიღო ჩვენი საყვარელი სტუდენტის

**სეფკო (სტეფანე) ქუთათელაძის**

დაკრძალვის დღეს, რომელიც მოხდა 27 ივნისს ს. ივანდიდში საგვარეულო სასაფლაოზე. მასთან განსაკუთრებით მადლობას ვწირავთ ძმებ: ნოე და კოლა კუკულაძეებს, რომლებმაც უსაზღვრო დახმარება გაგვიწია სტ. სეფიკოს დაკრძალვის საქმეში. (1—1)

ღრმათ დამწუხრებული მშობლები, ძმები, დები, სიძეები და რძლები: სიმონი და ნინო; გრიგოლი, ილია, შალვა, დავით და კონსტანტინე, ქეთევანი, მარიამ, ანნა და შუშანა ბხეიძეები, ერასტი ბაბადოლლი და დავით ჯაფარიძე, ეკატერინა და ტერეზია გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი

**ვ ლ ა დ ი მ ე რ ი ს**

გარდაცვალებას, დაკრძალვა სოფ. თერჯოლაში, შორაპნის მაზრა, ხუთშაბათს 18 ივლისს 12 საათზე. (1—1)

რკინის გზის მთავარ კომიტეტის წითელი რაზმის შტაბი დიდი მწუხარებით აუწყებს ამხანაგ წითელ რაზმელებს, რომ სამსახურის შესრულების დროს ტრაგიკულათ გარდაიცვალა ამხ.

**სვიმონ ზაქარეიშვილი**

გამოსვენება მოხდება 18 ივლისს რკინის გზის საავათმყოფოდან თფილისის სადგურზე; მერმე კი ს. საჯევახოში ნაშუადღევის პირველ საათზე. 1—1

პირველი რაიონის მცირე კოლექტივი ს. დ. მ. პ. თფილისის სადგურის მოსამსახურეებისა მწუხარებით აუწყებს პარტიულ ამხანაგებს, რომ სამსახურის დროს ტრაგიკულათ გარდაიცვალა საყვარელი ამხანაგი

**სვიმონ ზაქარეიშვილი**

მიცვალებულის გამოსვენება მოხდება 18 ივლისს, რკინის გზის საავათმყოფოდან თფილისის სადგურზე, რომელსაც წაასვენებენ ს. საჯევახოში ნაშუადღევის პირველ საათზე. (1—1)

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 16 ივლისს ქალაქ თფილისში გარდაიცვალა მღვდელი

**მიხეილ (მიშა) გაგლოშვილი**

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს განსვენებულის მეუღლე ოლღა, შვილები: ჟორჟიკა, ზოია, ილიუშა და ლენა, დედა მართა, ძმები: გიორგი და დათიკო და დები: ფეფო და დარო: პანაშვიდი სად. 8 ს. (ახალი დრო) მიხეილის საავადმყოფოს ეკლესიაში. გამოსვენება პარასკევს 9 საათზე და დასაფლავება წმ. ნინოს სასაფლაოზე. (2—1)

## განცხადება
### თელავის ქალთა წმ. ნინოს სასწავლებლის

საპედაგოგიო საბჭო ამით აცხადებს, რომ პირველ ენკენისთვიდან ამა 1918 წლისა სასწავლებელში თავისუფალია შემდეგი ადგილები: სასწავლებლის უფროსისა (ინსპექტორისა), ქართული ენის მასწავლებლისა, უფროს კლასებში (5—8 კლ.), რუსული ენისა უფროს კლასებში, ლათინური (კარგია ეს ორი საგანი აიღოს ერთმა პირმა), ფრანგული ენისა, ფიზიკისა და საბუნებისმეტყველო საგნებისა უმცროს კლასებში. ჯამაგირი ზემოხსენებულ პირთ მიეცემათ ერთნაირად სხვა საშუალო სასწავლებლებთან. თხოვნები საჭირო საბუთებთან ერთად უნდა გამოიგზავნოს საპედაგოგიო საბჭოს სახელობაზედ. უკანასკნელი ვადა თხოვნების მიღებისა 20 მარიამობისთვე (ახალი წელთ აღრიცხვით). (3—1)

## თფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ ხოლერით ავათმყოფების ჩქარი დახმარების მიზნით ქალაქის ცენტრალურ საავათმყოფოსთან დაწყო ღამით ექიმთა მორიგეობა. მორიგეობა იწყება საღამოს 8 საათიდან და გრძელდება დილის 8 საათამდე.

ადრესი: სალდათის (Салдатскій) ბაზარი სომეხთა სემინარიის სახლი, ტელეფონი № 39. (2—2)

## გადმოხვეწილები

ომის და ანარქიის შედეგები მწარე ბედს გვიქადის. ჩვენს პატარა ქვეყანაში ასი ათასობით ლტოლვილმა შეიყარა თავი. ადგილობრივ მცხოვრებთა თითქმის მეხუთედ ნაწილს ლტოლვილები შეადგენენ.

ლტოლვილებს თან მოაქვთ გადამდები სნეულებანი; მათი მოსვლა კიდევ უფრო ამწვავებს სასურსათო კრიზისს. ჩვენს ღარიბ ხაზინას ათასობითი ეხარჯება ფული მათ შესანახათ.

ჩვენ, რასაკვირველია, ძმური ხელი უნდა გავუწოდოთ საწყალ ხალხს, რომელსაც ველურმა ურდოებმა კერა გაუცივეს, სამშობლო მიწა-წყალი დროებით ხელიდან გამოაცალეს. მთელი ჩვენი თანაგრძნობა ამ უბედურ ხალხისკენაა, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია დავივიწყოთ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება: ის პარტია, რომელიც ამ საწყალ ხალხს უდგას სათავეში, სრულიათ არ ხელმძღვანელობს კაცთმოყვარეობის და რიგიანობის პრინციპით. ჩვენ ვამბობთ სომხის დაშნაკცუთიუნზე. ეს პარტია, ეჭვი არაა, ეცდება ჩვენშიაც გაიმეოროს ის, რაც მან სხვაგან ჩაიდინა. ზოგიერთი პროვინციებიდან ჩვენ ასეთი ცნობები გვაქვს: დაშნაკელები ჩვენს დაბა-ქალაქებში მალვენ ლტოლვილებს მაშინაც კი, როცა ამ ლტოლვილებში გადამდები სენია გავრცელებული. ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ სომეხი ლტოლვილები პირდაპირ მონაწილეობას იღებდენ დუშეთის აჯანყებაში, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ იყო მიმართული. პარტია, რომელიც დემონსტრატიულათ იცქირება რუსეთისა და ინგლისისაკენ, ჩვენ ხეირს არ დაგვაყრის. ამიტომ ჩვენი ვალია დიდი სიფრთხილით მოვეპყრათ ლტოლვილებს: ხალხმა მეგობრული განწყობილება უნდა იქონიოს ლტოლვილებთან და რითაც კი შეუძლია ხელი მოუმართოს, მაგრამ ამავე დროს მთავრობამ ყოველივე ზომებს უნდა მიმართოს, რომ ლტოლვილები თავ-თავის ალაგას დააბრუნოს. მანამდის კი, სანამ ეს მოუხერხებელია, მთავრობამ ზომები უნდა მიიღოს, რომ ლტოლვილებს განსაკუთრებული დროებითი საცხოვრებელი ადგილები მიუჩინოს, რომ ლტოლვილები სოფლებს არ მოედონ, ავადმყოფობა და არევ-დარევა არ შეიტანონ იქ.

ასეთია აზრი და მნიშვნელობა იმ კამათის, რომელიც ლტოლვილთა შესახებ შეკითხვის გარშემო გაჩაღდა საქართველოს ეროვნულ საბჭოში. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ხალხი და მთავრობა თავ-თავის მოვალეობას გაჭირვებულ ლტოლვილთა წინაშე ღირსეულათ შეასრულებენ. მაგრამ ჩვენს ქვეყანა ი ლტოლვილთ გარდა სხვა კიდევ უფრო საშიში ელემენტებიც მოიპოვება. ესეთია რუსის ოფიცრობა და მეტ ბარგათ გამხდარი ჩინოვნიკობა. ესენი ათასობით არიან ჩვენს ქვეყანაში და პროვაკაციის ქსელს აბამენ ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ. ჩვენ უკვე მივიღეთ კანონი ქვეშევრდომობის შესახებ. რას აკეთებენ აქ ეს უცხოელები, როცა მათი სახელმწიფო აშკარათ გვიცხადებს ომს? განა თერგის მთავრობის დახმარებით არ მოხდა დუშეთის აჯანყება? განა საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობამ არ უბრძანა ჩრდილოეთ კავკასიას, რომ ჩვენთვის პური და სიმინდი არ გამოეგზავნათ? ამავე დროს რუსი ჩინოვნიკები და აფიცრები განაგრძობენ აქ პურის ჭამას და ინტრიგების მოწყობას. ბევრმა ფულებიც კი მიიღო იმ პირობით, რომ თავის ქვეყანაში წასულიყო, მაგრამ ფეხსაც არ იცლიან აქედან.

შეუძლებელია ასეთი მდგომარეობის განგრძობა. ჩვენ არ შეგვიძლია გულგრილათ ვუცქიროთ ჩვენს წინააღმდეგ მომქმედ სახელმწიფოს შეომარ მოქალაქეებს.

არ შეიძლება დაფარვა იმის, რომ ეს ელემენტები ცდილობენ ყოველგვარ ანარქიის გაძლიერებას ჩვენში.

ამრიგათ ერთი მხრით ისინი ჩვენ გვეხდება საარჩენათ, მეორე მხრით თვითვე გვიშლიან ხელს სურსათის მოპოვებაში.

საქართველოს სამხედრო გზა შეკრულია სხვათა შორის მათი მონაწილეობითაც.

ასეთ პირობებში რა დარჩენია რესპუბლიკის მთავრობას?

ორში ერთი. ან ჩრდილოეთ კავკასია და საერთოთ რუსეთი ისევ კეთილგანწყობილებას დაუბრუნდება, პურს მოგვაწვდის, და მაშინ მათ მოქალაქეებს აქ სრული თავისუფლება ექნებათ იცხოვრონ, ან იგი ბოიკოტს და იარაღით შებრძოლებას განაგრძობს და მაშინ მის მოქალაქეებს აქ ადგილი არ აქვთ. რუსის ნაციონალურმა საბჭომ, თუ იგი მართლა იცავს რამე სამართლიანობის პრინციპს ამ ორში ერთი უნდა თვითონ განახორციელოს.

წინააღმდეგ შემთხვევაში თვით სთქვას, როგორ უნდა მოიქცეს დემოკრატიული მთავრობა, რომლის ხალხი შიმშილს განიცდის და რომელიც ამ დროს იძულებულია თავის ხელის შემშლელები და მოწინააღმდეგენი გამოკვებოს?

დემოკრატია თავის თავს და თავისუფლებას ვერ შესწირავს ჩინოვნიკებს, რაც უნდა გულით სურდეს მათი დახმარება.

## პ რ ე ს ა

„ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალით" ბრძნული თქმულებაა, ხალხის გულიდან გამოხეული და ეს თქმულება ყოველ დღე სრულდება ჩვენ თვალწინ.

აი მაგალითად „ტრუდოვოე ზნამია". იგი შეიძლება თავის თავს ატყუებდეს კიდეც, რომ ინტერნაციონალურ პოზიციაზე დგას, რომ იგი ყველა ერის დემოკრატიას იცავს, რომ იგი ყველა ქვეყნის მშრომელს ქომაგებს. მაგრამ ჩვენ ვიცით და ამას ბრმა ვერ დაინახავს მხოლოდ, რომ არსებითათ რუსის ნაციონალურ ინტერესებს ემსახურება. განა საქართველოს დამოუკიდებლობისადმი დამოკიდებულება, ნაციონალიზაციის და სხვ. საკითხებზე შეხედულება (?) პოზიცია ამ გაზეთისა ამას არ მოწმობს? „დარჩით რუსეთის კოლონიათ". აი დემოკრატიზმით გვეუბნება ამით ეს გაზეთი და ერთხელაც არ დაფიქრებულა იმაზე, რომ ეს რუსის იმპერიალიზმის, ნაციონალიზმის და „მხეცური ფსიხოლოგიის" გამომხატველი დებულებაა. ტყუილად კი არ გაიძახიან ამ გაზეთის მკითხველები: „ჩვენ ისევ მოვალთ და დაგიპყრობთო".

განა ამაზე მეტი ნაციონალიზმი და „მხეცური ინსტიქტის" გამოჩენა შეიძლება?

მაგრამ გაზეთი „ტრუდოვოე ზნამია" ამ ნაციონალისტურ ვაკხანალიას გაშო ყურსაც არ იბერტყნავს. ეს ხომ მის მისწრაფების განხორციელებასაც ემსახურება: „ამიერ-კავკასიის ერთა დამოუკიდებლობის დამხობას და რუსეთის კოლონიათ დაბრუნებას ხელს შეუწყობს. ამიტომ იგი ეძებს მხეცურ ნაციონალიზმს, დაპყრობითი მიდრეკილებებს და სხვა ასეთ საშინელებებს იმ პატარა ერებში, რომელნიც მსხვილი ერების კლანჭებიდან განთავისუფლებას ცდილობენ. რასაკვირველია წვრილი ერებიც არიან ნაციონალისტები, რომელნიც მინიატიურაში იმეორებენ მსხვილი ერების შოვინიზმს, მაგრამ მთელ ერს მიაწეროს ეს დანაშაული მხოლოდ იმიტომ, რომ იგი დამოუკიდებელ, თავისუფალ ცხოვრების მოწყობას ცდილობს და ამისთვის სხვადასხვა მოკავშირეებს დაეძებს, ეს მხოლოდ ისეთ გაზეთს შეუძლია, როგორც „ტრუდოვოე ზნამიაა".

რიგიანი ორგანო ამას არ იკისრებს. „ერთობიდან" დაწყებული, „სახალხო საქმიდან" „ვოზროჟდენიამდე", „აშხატავორიდან" და „ჰორიზონიდან" „მშაკამდე"—აი მთლიანი ფრონტი „მხეცური ფსიხოლოგიისა", რომელიც ყოველ წუთს მზათაა აშკარა, დაუფარავი ბრძოლათ გადაიქცეს".

გაზეთს აქ თავის „რიგიანობის" სანიმუშოთ, განზრახ ერთმანეთში აურევია სოციალისტური და შოვინისტური გაზეთები, დემოკრატიისთვის თავდადებული მებრძოლნი და რეაქციის მოტრფიალენი. თუმცა მან კარგათ იცის, რომ ეს გაზეთები თავის ერის ფარგლებში სასტიკ ბრძოლას აწარმოებენ ერთმანეთის წინააღმდეგ. იცის, რომ „ერთობა" ებრძვის „ვოზროჟდენიეს" და მის მონათესავე გაზეთებს პრესაში, საბჭოში და ყველგან სწორეთ ნაციონალისტობისთვის. იცის, რომ „მშაკი" და „ორიზონი"-ც არ აკლებენ ერთმანეთს კომპლიმენტებს, მაგრამ „ტრუდოვოე ზნამია"-ს ხომ სიმართლე არ აინტერესებს. იგი გრძნობს, რომ მისი თანამგრძნობნი და თანამშრომელნიც ჩრდილო კავკასიაში ნაღველს და შხამს ანთხევენ ამიერ-კავკასიის ზოგიერთ ერების წინააღმდეგ და ცდილობენ მათ დამხობას და განადგურებას. გრძნობენ, რომ ეს მართლა შოვინიზმი „მხეცური ფსიხოლოგიაა", დემოკრატიზმის და უბრალო რიგიანობის დარღვევაცაა, და აი ამიტომ პირველი ილაშქრებენ ასეთი ბრალდებით პატარა ერების წინააღმდეგ.

„ქურდი ქურდი ქუჩაში რომ გარბის, სხვას მისძახის: არიქა, ქურდი გამოიქცა, დაიჭირეთო",—ამით უნდა თვალი აუხვიოს მდევნელთ და გზა აუბნიოს. „ტრუდოვოე ზნამიასაც" კარგათ ჰქონია ასეთი ხერხი შეთვისებული.

მაგრამ ამიერ-კავკასიაში და კერძოთ საქართველოში იმდენათ შეგნებული დემოკრატია კიდევ მოიპოვება, რომ ასეთ ანკესზე არ წამოეგოს. შავის გარჩევა თეთრისაგან მან დიდი ხანია ისწავლა. ამიტომაა, რომ ამ ვითომდა „მშრომელთა დროშას" („Трудовое Знамя") მხოლოდ ჩინოვნიკები და მათი ძმანი აფიცრიალებენ.

## საქართველოს ეროვნული საბჭო

**16 ივლისის სხდომა.**

თავმჯდომარეობს კარლო ჩხეიძე.

მდივანი აქვეყნებს დღის წეს-რიგს.

**რ. არსენიძე** კითხულობს სარედაქციო შესწორებებს წინა სხდომებზე მიღებული კანონებისას. შესწორებები მიღებულ იქნა.

განსახილველია ივანიცკის შეკითხვა საინგილოს შესახებ.

**დ. ონიაშვილი.** აღნიშნავს რა საინგილოს ცუდ მდგომარეობას ამბობს, რომ საჭიროა ამ მხარეს მთავრობამ შესაფერი ყურადღება მიაქციოს, აუცილებლათ უნდა იქნას მიღებული ზომები ზაქათალის ოლქის გასაწმენდათ.

**დ. ჩიქოვანი.** ამბობს, რომ ზაქათალის ოლქში 85 ათასი მცხოვრებთაგან 25 ათასი ინგილოა. ზაქათალის ოლქში მრავალი ორიენტაციაა. ორატორს წინადადება შეაქვს საბჭომ აირჩიოს კომისია იქ გასამგზავრებლათ და საქმის გამოსარკვევათ.

**ს. მდივანი.** (ს.-ფ.) დ. ჩიქოვანის ციფრები სწორი არ არის; ზაქათალის ოლქში 60 ათასი მცხოვრებია. აქედან 30 ინგილოა, ოსმალოს ორიენტაცია დამყარებულია რელიგიურ ფანატიზმზე. საუკუნოების განმავლობაში ზაქათალის ოლქი შეკავშირებული იყო საქართველოსთან და ამას ოსმალეთი ვერ გადალახავს. ზაქათალის ოლქის საქმეების გამოსწორება შეიძლება იმ გზით, რა გზაც ს. დ. ფრაქციის წარმომადგენელმა გვიჩვენა. დაყოვნება შეუძლებელია. ზაქათალის ოლქის საკითხი დაკავშირებულია სხვა ჩვენ კუთხეების საკითხებთან.

**რ. ივანიცკიც** იწონებს ს. დემოკრატიული ფრაქციის აზრს ამ ოლქის შესახებ და ამბობს, რომ უმრავლესობა დღეს ოლქში ლეკობაა, რომელიც მთიელებს ეკედლება, მაგრამ მალე გაიგებენ, რომ უჩვენოთ მათ არ შეუძლიათ ყოფნა. საჭიროა იქ ჯარის გაგზავნა.

**ნ. რამიშვილი.** ზაქ. ოლქის საკითხი მარტო შინაური საკითხი არ არის. ზაქათალის ოლქის საკითხი საგარეო საკითხია, შესაძლებელია უფრო დიდ მტერთან გვქონდეს საქმე. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მთავრობა ყოველივე ღონეს ღონებს, რომ დაცულ იქნას საქართველოს ტერიტორია. საინგილოს ვთვლით საქართველოს ტერიტორიის ნაწილად (ტაში). მიღებულ იქნა ს. დემოკრატების რეზოლიუცია: საბჭო კმაყოფილდება მთავრობის განმარტებით და გადადის მორიგ საკითხებზე.

**დ. ჩიქოვანი** (რადიკალ-დემოკრატი). სომეხთა შემოსევამ მასსიური ხასიათი მიიღო. საქართველო ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა. სომეხი ლტოლვილები მოედვენ მთელ საქართველოს, გაამწვავეს სასურსათო საკითხი, სასანიტარო საქმეც გართულდა. ლტოლვილები არალოიალური ელემენტებია. ვეკითხები მთავრობას: რა ზომები აქვს მიღებული ლტოლვილთაგან განსანთავისუფლებლად.

**ნ. რამიშვილი.** დემოკრატია ვალდებულია შეძლებისდაგვარად დახმარება აღმოუჩინოს ლტოლვილებს. გურია და მთიულეთი დამშეულია. ახლად მოსული ხალხი მოუმზარეობას ამწვავებს, ლტოლვილთა რიცხვი ამიერ-კავკასიაში ნახევარ მილიონამდე ადის, საქართველოში —100,000-მდეა. თფილისში 30 ათასამდე იქნება. ჩვენ რამოდენიმეჯერ აღვძარით შუამდგომლობა ლტოლვილების უკან დაბრუნების შესახებ ოსმალეთის მთავრობასთან, მაგრამ ოსმალეთი კატეგორიულად წინააღმდეგია ამისი. მიღებულია ზომები ლტოლვილები ორი გზით გაიგზავნოს ჩრდილოეთისაკენ. სწრაფად ვერ დავაბინავებთ მათ. ყოველ შემთხვევაში მთავრობა ყოველივე ღონეს ღონებს ამ საფრთხის თავიდან უმტკივნეულად ასაცილებლად. მცირე კამათის შემდეგ მიღებულ იქნა ს.-დემოკრატების მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია: საბჭო კმაყოფილდება მთავრობის განმარტებით.

## დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

17 ივლისი.

**ბერლინი.** რეიხსტაგის მიერ სამხედრო კრედიტის დამტკიცების შემდეგ ვილჰელმმა სახელმწიფო ხაზინის სტატს-სეკრეტარს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: მადლობას გიძღვნი სასარგებლო მუშაობისათვის. ჯარი ამ მოვლენაში დაინახავს იმის საბუთს, რომ მთელი გერმანია მის მხარეზეა. გერმანია დაუძლეველი იქნება, უკეთუ ის არ დაივიწყებს თავის სიძლიერეს.

**სტოკჰოლმი.** გემ „ინგერმანლანდ ს" „კომანდის" 6 კაცი მოვიდა პარასკევს საღამოთი პეტროგრადიდან, რომელნიც აზიური ხოლერით ავადმყოფნი აღმოჩნდენ.

**მოსკოვი.** მურმანის ნაპირად შეთანხმების სახელმწიფოთა მყოფი ჯარების მთავარი სარდალი მოწოდებაში ამბობს, რომ შეთანხმების სახელმწიფოთა საკუთრება უნდა დავიცვათ ფინებისა და ნემეცებისაგანო. ის მიმართავს ხალხს და სთხოვს დახმარებას. მურმანის ნაპირები საბჭოთა რესპუბლიკის ოლქად ითვლება.

**მოსკოვი.** სოციალისტ-რევოლიუციონერების აჯანყება პეტროგრადში ჩაქრობილ იქნა. ზოგიერთი შენობები დაზიანდა ზარბაზნების ყუმბარებით.

ჩელიაბინსკსა და ომსკს შუა გაბატონებული არიან ჩეხო-სლოვაკები.

რუსეთის ნაციონალურ დროშაზე ორი წარწერა იქნება: „საბჭოთა სოციალისტური ფედერატიული რუსეთის რესპუბლიკად" და „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით".

**მოსკოვი.** ნორვეგიის ოფიციალური პრესა ადასტურებს რეინტცეს სამსახურიდან გასვლას და აღნიშნავს, რომ მან გამოიჩინა ნორვეგიის საქმეთა შესაფერი ცოდნა, ანგარიშს უწევდა სხვის აზრებს და საქმეს უცქეროდა დიდი სახელმწიფო მოღვაწის თვალსაზრისითო.

**ათინა.** ინგლისური ცნობების თანახმად მინისტრ-პრეზიდენტმა გამაფრთხილებელი ზომები მიიღო, რომ ჯარში დისციპლინა არ ირღვეოდეს და ჩაქრობილ იქნას ყოველგვარი რეაქციონური გამოსვლები. მიღებულია ზომები არაკეთილსაიმედო პირთა კუნძულებზე გადასასახლებლათ.

**ვენა.** გუშინ ჩეხთა ეროვნული საბჭოს სხდომა იყო. კომიტეტმა გადასწყვიტა მიმართოს ჩეხო სლოვაკებს—მოითხოვონ თვითგამორკვევის უფლება და შექმნან ჩეხო-სლოვაკების დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელიც თავისუფალი იქნება ყოველგვარ გარეშე გავლენისაგან.

**ბერლინი.** იპრეს აღმოსავლეთით მტრის ერთი შემოტევა მოვიგერიეთ. ამ რაიონში მთელი ღამის განმავლობაში ადგილობრივი ხასიათის ბრძოლა იყო. ენისა და მარნის შუა და აგრეთვე შატო-ტიერის აღმოსავლეთით საარტილერიო სროლა გაძლიერდა. მარნის იქითა მხარეს ჟოლ-ბინის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენ შევიჭერით მტრის სანგრებში, საიდანაც ტყვეები წამოვიყვანეთ.

**ბერლინი.** რეიმსის სამხრეთ დასავლეთით და აღმოსავლეთით ჩვენ შევცდით ფრანგების სანგრებში. გენ. ბომეს ლაშქარი მდ. მარნაზე გადავიდა ჟოოლ ბონესა და დორმანს შუა. ქვეითა ჯარმა მარნის სამხრეთ ნაპირათ დაიკავა მაღლობები. განუწყვეტელი ბრძოლით მტერს უკან დავახევინეთ კონდელა-შა-

პელლ-კამბელელ-მარრეიელის ხაზზე. მარნის აღმოსავლეთითაც ჩვენ პოზიციები წავართვით ფრანგებს. საღამოთი ბრძოლა გვქონდა შატილიონ კლეტრიშომიზის აღმოსავლეთით. გენ. მერდას და ფონ-ეინემის ჯარები მტერზე მივიდენ იერიშით შამპანში ტაგიურამდე და უკან დახეულ მტერს ებრძოდენ. მარნის ჩრდილოეთით ჩვენ მივაღწიეთ წარსული წლის გაზაფხულის ბრძოლის რაიონებამდე. რეიმსის აღმოსავლეთით მტერს უკავია პრონსე-სოუს ჩრდილოეთით მდებარე მეორე პოზიციები. ჯერ ჯერობით ამ ადგილებიდან ტყვეთ წამოვიყვანეთ 13 ათასი კაცი. ლოტარინგიაში, ვოგეზებში და ზუნდგაუში უმნიშვნელო ბრძოლის შემდეგ ჩვენ წამოვიყვანეთ ტყვეები.

**სტამბოლი.** პალესტინის ფრონტი. ჩვენმა არტილერიამ ზღვის პირათ დაიკავა მტრის ჯარების ბანაკი. იორდანეს ორივე ნაპირას მტრის მზვერავი რაზმები ცდილობდენ ჩვენს პოზიციებთან მოახლოვებას, მაგრამ განდევნილ იქნენ.

**ბერლინი.** მარნის ფრონტზე მტერს სასტიკი კონტრ იერიშები მოაქვს. ჩვენი ჯარი წინ მიიწევს რეიმსის დასავლეთით. რეიმსის აღმოსავლეთით მდგომარეობა უცვლელია.

## უკანასკნელი ცნობები

### შავი ზღვის რკინის გზაზე.

შავი ზღვის რკინის გზის ძველი ადმინისტრაცია ცდილობდა რუსეთში გაპარვას და აპირობდა მუშების ხვედრი ფულის თან წაღებას. რამოდენიმე დღის წინეთ სოჩიდან ჩამოვიდა ადმინისტრაციის წარმომადგენელი, როგორც გამოირკვა, მას ფულები ჩამოეტანა მუშების დასარიგებლად. მუშებმა იქვე მიიტანეს ადმინისტრაციაზე და სენაკის მუშათა საბჭოში შეიტანეს საჩივარი. საბჭომ დეპეშით შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა და გზათა მიმოსვლის სამინისტროებთან დროებით შეეჩერებინათ ადმინისტრაციის რუსეთში გამგზავრება და სენაკის მუშათა საბჭოსა და ადმინისტრაციისთვის ნება დაერთო ისინი გაეჩხრიკა. სამინისტრომ გამოძიება მიანდო აღნიშნულ სენაკის ორგანიზაციებს. გამოძიების შემდეგ გამოირკვა, რომ სოჩიდან რკინის გზის ადმინისტრაციას ჩამოეტანა 800,000 მან 400,000 მან. დარიგება რუსეთში წამსვლელ მუშებზე მოუწრია. დანარჩენი 400,000 მ. სამგზავროთ სდომებიათ, რაც ჩამორთმეულ იქნა და დაურიგდა რკინის გზაზე მომუშავე მუშებს.

### ზ უ გ დ ი დ ი.

ზუგდიდის მაზრაში ბალშევიკური ბანდები ჯგუფ-ჯგუფად დადიან და სოფლებს თავს ესხმიან. ამ უკანასკნელ ხანებში ისინი დაეცენ ხეთას, ხოზს, ახუთს და სხვას. ზუგდიდის ზემო ნაწილებში, წალენჯიხის რაიონში სრული უმთავრობაა. მთავრობის ჯარი ზუგდიდში არის დაბანაკებული. ამ დღეებში ეს რაზმი წავა იმ ადგილებისაკენ, სადაც ანარქიაა და მის სრულ ლიკვიდაციას მოახდენს.

### ყ ა ზ ბ ე გ ი.

აქ შესდგა საველე სასამართლო, რომელშიაც შედიან როგორც ჯარის, ისე ადგილობრივ მცხოვრებთა წარმომადგენელნი. სასამართლოს ჯერ არავინ არ დაუსჯია. გამოძიება სწარმოებს. მთავარი დამნაშავენი ტფილისში იქნებიან გასამართლებული.

### ბაქოს ფრონტი.

განჯიდან მიღებული ცნობების თანახმად ამ.-კავკ. დეპ. სააგენტო გვაუწყებს: ოსმალთა მეოთხე რაზმმა, რომელიც ბაქოზე სამხრეთით მოდიოდა, ბალშევიკებს ორი გემი ჩაუძირა, გადავიდა მტკვრის მარცხენა ნაპირას და დაიკავა სალიანი. აქედან ეს რაზმი ალიათისაკენ მიიწევს. რკინის გზის მიმართულებით სად. აჯიკაბულის ახლოს 15 ივლისს ბრძოლა იყო. ბაქოს ჯარები ბალაჯარისაკენ იხევენ.

## ცოტა რამ საფრანგეთის ფინანსიურ ოლიგარხიაზე

საფრანგეთი ეკონომიურ მხრივ ზოგიერთ ქვეყნებთან შედარებით, როგორიც არიან ინგლისი, გერმანია, ამერიკის შეერთებული შტატები, ჩამორჩენილ ქვეყანათ უნდა ჩაითვალოს. ამ ქვეყნის ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება მთელი მე XIX საუკუნის განმავლობაში სწარმოებდა ძლიერ ნელა, ზოგიერთ წარმოებებში კი ემჩნეოდა შეჩერებაც. საფრანგეთის მწერლები არ მალავენ, რომ ზოგიერთ სამრეწველო დარგებში მდგომარეობა პირდაპირ აუტანელია. თუ სავაჭრო და სამრეწველო მოქმედება არაა მაინც და მაინც სანატრელ მდგომარეობაში, სამაგიეროთ ფულის და ბირჟის კაპიტალის სიძლიერემ საფრანგეთში მიაღწია განსაცვიფრებელ სიდიდეს.

„საფრანგეთის მთელი ფინანსიური სიძლიერე—სწერს ლიზისი—თავმოყრილია ოთხ საკრედიტო საზოგადოებაში, როგორიც არიან: ლიონის კრედიტი, გენერალური საზოგადოება, ნაციონალური კანტორა და სამრეწველო-საკომერციო კრედიტი“. ეს ოთხი დაწესებულება პარიზი—ნიდერლანდიის ბანკთან ერთად შეადგენენ კონსორციუმს და შეთანხმებით უშვებენ ყველა დიდ სესხებს. გამოჩენილი ფინანსისტის ა. ნეიმარკის სიტყვით, საფრანგეთის ყველა მსხვილი საკრედიტო საზოგადოებები დიდი ხნიდან შეთანხმდენ ერთმანეთთან, ერთად მოქმედებენ და „არ ეწევიან კონკურენციას ერთმანეთ შორის, როდესაც აწარმოებენ საგარეო ფინანსიურ ოპერაციებს“. თუ კი რომელიმე დასახელებული ფინანსიური დაწესებულებებიდან აკეთებს ამა თუ იმ ფინანსიურ ოპერაციას, ამ უკანასკნელში ფაქტიურათ მონაწილეობას ღებულობენ კონსორციუმის სხვა წევრებიც და მოგებას იყოფენ ერთმანეთ შორის.

ჩამოთვლილ საკრედიტო საზოგადოებებმა საბოლოოთ მოსპეს წვრილი ბანკები და კანტორები და მათ მაგიერ საფრანგეთი აივსო მსხვილ ბანკების განყოფილებებით. ეს განყოფილებები თავის კასსაში იზიდავენ დიდძალ შესანახ თანხას, რომელთა ზრდა თავბრუდამსხმელი სისწრაფით სწარმოებს. ოცი წლის განმავლობაში დასახელებულმა 5 საკრედიტო დაწესებულებებმა მიიზიდეს დაახლოვებით ორი მილიარდი ფრანკი.

თუ ვიკითხავთ, რა საჭიროებას ხმარდება ეს ფული, დავინახავთ, რომ ეს ფული თავსდება საბირჟო ქაღალდებში, განსაკუთრებით კი საგარეო სესხში. და მართლაც, 1905 წ. სამი უმთავრესი საფინანსო დაწესებულებებმა, რომელთა ბალანსი აღწევდა 4 მილიარდ ფრანკს, სამრეწველო დაწესებულებებს მისცეს სესხათ მხოლოდ 143 მილიონი ფრანკი, უმეტესი ნაწილი ამ ფულისა კი მოხმარდა საგარეო სესხს. ჟურნ. დიუმერგის გამოანგარიშებით 1889—1908 წწ. საფრანგეთის ღირებულებათა საერთო ჯამი უდრიდა 24 მილიარდ ფრანკს. ამ ფულიდან საგარეო ღირებულებებზე წავიდა 18 მილიარდი და საფრანგეთს დარჩა მხოლოდ ექვსი მილიარდი. როგორც ვხედავთ საფრანგეთის კაპიტალისტებს სამი მეოთხედი კაპიტალისა გააქვთ საზღვარ გარეთ. აი რას სწერდა ერთი საფრანგეთის გაზეთი ამ რამოდენიმე წლის წინეთ: „ჩვენს დროში არც ერთი სავაჭრო სამრეწველო წარმოებას, თვით ყველაზე უფრო სერიოზულსაც, აბსოლუტურათ არ შეუძლია კრედიტის მოპოვება არც ერთ დიდ საკრედიტო დაწესებულებაში, რომ წარმოება გააჩაღოს“. ბარონი ალფონს როტშილდი ჩრდილო რკინის გზათა კომპანიის კრებაზე 29 აპრილს 1905 წ. სჩიოდა, რომ ჩრდილო დეპარტამენტს ემჩნევა ვაჭრობა-მრეწველობის სრული შეჩერება იმის გამო, რომ სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებანი ვერ პოულობენ კრედიტს. ფინანსისტთა წრეები ამტკიცებენ, რომ ამგვარი ოპერაციები დაკავშირებულია ერთგვარ რისკთან და ჰქონის პასუხისმგებლობას, ხოლო რაც შეეხება საგარეო სესხში კაპიტალის მოთავსებას, ეს მათი აზრით—არავითარ რისკს არ წარმოადგენს და მასთან მოაქვს გაცილებით მეტი მოგება, ვინემ საფრანგეთში მოთავსებულ ფულს. სწორეთ ამისთვისაა, რომ ისინი აწარმოებენ იმ პოლიტიკას, რომელიც უფრო შეეფარდება მათ ინტერესებს. საფრანგეთის მილიარდები, იმის მაგიერ, რომ ხელი შეუწყოს ნაციონალურ მრეწველობის განვითარებას, ხშირად იგზავნება საეჭვო ნდობის ქვეყნებში. როგორიცაა მაგალითად სპარსეთი, სათათრეთი და სხ., ამავე დროს კი საფრანგეთის აუარებელი ნაწარმოებები, რომელთაც შეუძლიათ განვითარება, ძლივსღა სულს ღაფავენ ფულის უქონლობის გამო.

ჰენრიხ ჟერმენმა, ლიონის კრედიტის დამაარსებელმა 1903 წ. 2 აპრილის საზოგადო კრებაზე განაცხადა, რომ ის ფულს არავითარ შემთხვევაში არ მისცემს ნაციონალურ წარმოებებს და არ იზრუნებს ნაციონალურ ინდუსტრიაზე. გაზეთი „ლემონდ ეკონომიკ“-ი ამ ათი წლის წინეთ გულის წყრომით სწერდა, რომ „იმ დროს, როდესაც საფრანგეთის ფინანსიური დაწესებულებანი გერმანიაში ათავსებენ მილიარდებს და წარმოადგენენ დედამიწის ზურგზე ყველა მთავრობების ბანკირებს, ისინი არ თანხმდებიან, მისცენ დახმარება საფრანგეთის მრეწველობას.

1897 წ. სენატის ერთ სხდომაზე, ერთმა სენატორთაგანმა ილაპარაკა იმაზე, რომ საფრანგეთის მრეწველებმა, რომელთაც სამრეწველო წარმოების მოწყობა სურდათ საფრანგეთის კოლონიაში, მადაგასკარში, კრედიტი ვერ იშოვეს საფრანგეთის ბანკებში და იძულებულნი იყვნენ სესხისთვის მიემართათ გერმანიის ბანკისთვის ფრანკფურტში.

საფრანგეთში არსებობს მთელი რიგი მექანიკური დაწესებულებებისა, სადაც ისეთი ძველი სისტემის მანქანები სდგას, რომელნიც უვარგისათ უნდა ჩაითვალიყოს თვით ამ 50 წლის წინათაც. ფინანსიური ოლიგარხია არც ჰფიქრობს იმის დამალვას, თუ რისთვის არ აძლევს ის კრედიტს საფრანგეთის სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებს. ვაჭრობა-მრეწველობის ზრდას თან სდევს ზრდა პროლეტარიატის, მის სიძლიერის, ზრდა სოციალისტური და რევოლიუციონური იდეების—ამბობენ ფინანსიური წრეები. ამას კი მოჰყვება დანგრევა კაპიტალისტური კერძო საკუთრებისა. სოციალიზმის აჩრდილი, აი რა უფრთხობს ძილს ამ ვაჟბატონებს. მათ ეშინიათ არა მარტო სოციალიზმის ზრდისა, თვით არსებული რესპუბლიკანური წესწყობილებისა საყოველთაო საარჩევნო უფლებით, ცოტათი თუ ბევრათ დემოკრატიული ინსტიტუტებით, ეჯავრებათ მათ „ისინი აქეზებენ არსებული წესწყობილების წინააღმდეგ საფრანგეთის რანტიეს, რომელთა რიცხვი დაახლოვებით ხუთ მილიონს უდრის. მთელი წლების განმავლობაში საფრანგეთის ყოველ კუთხეში გესმით საზიზღარი პროპაგანდა რესპუბლიკანური წესწყობილების წინააღმდეგ. ბანკის ყოველი განყოფილება (მათი რიცხვი უდრის რამოდენიმე ათასს) ცენტრია რეაქციონური პროპაგანდის, ბანკის დირექტორიდან დაწყებული უკანასკნელ მოსამსახურემდე—ეს ნამდვილი პოლიტიკური აგენტებია. იმ მიზნით, რომ გაასაღონ საზღვარ-გარეთელი ღირებულებანი, რომელიც მათ ხელშია, ისინი ჩმახავენ ყოველგვარ ჭორებს რესპუბლიკის საქმიანობაზე“. სწერს ლიზისი.

საფრანგეთის ფინანსიური ოლიგარხიას, რომელიც არ აძლევს კრედიტს სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებს საკუთარ ქვეყნისას, მთელი თავისი მოქმედება გადააქვს იმაზე, რომ მოაწყოს საგარეო სესხი. საგარეო სესხზე სპეკულიაცია კი ბევრ მხრივაა სასარგებლო ფინანსიურ აფერისტებისთვის. პირველ ყოვლისა—და ეს უმთავრესია—ბანკები, რომელნიც ვაჭრობენ საზღვარ-გარეთელ ღირებულებებით, ღებულობენ პირდაპირ დაუჯერებელ მოგებას. ყოველ ოპერაციას მათთვის რამოდენიმე ათი მილიონი მოგება მოაქვს. საზღვარ-გარეთელ სესხზე სპეკულიაცია ფინანსისტებისთვის სასარგებლოა იმ მხრივაც, რომ ისინი თავისუფლდებიან ყოველგვარ პასუხისმგებლობისგან საზოგადოების წინაშე. თუ გაკოტრდა რომელიმე სახელმწიფო, რომლის ქაღალდები ჩაფუჩეჩებული აქვს რანტიეს, ამ უკანასკნელს არ შეუძლია რაიმე პრეტენზიის წამოყენება, რადგან ისეთი შემთხვევა, როგორიცაა სახელმწიფოს კრახი, განა დამოკიდებულია ბანკის დირექტორისაგან ან ლიონის თუ სხვა საკრედიტო დაწესებულებიდან.

რომ საუკეთესოთ მოაგვაროს საგარეო სესხი, ფინანსიური ოლიგარხია პრესის საშუალებით არწმუნებს საფრანგეთის რანტიეს, რომელიც მთელ თავის სიმდიდრეს კონსორციუმის კასსაში ინახავს, რომ პოლიტიკური თუ ეკონომიურ ფინანსიური მდგომარეობა იმ ქვეყნის, რომელსაც სესხის აღება სურს, დიდებულია. რომ ეს აზრი მოახვიოს საფრანგეთის რანტიეს, ოლიგარხიას მოსყიდული აქვს მთელი ბურჟუაზიული პრესა. „პრესის მოსყიდვა—სწერს ლიზისი—მეტად მოწყობილ და ცენტრალისტურ წარმოებას წარმოადგენს. ფინანსიურის მხრივ მის მონოპოლიზაციას კისრულობს ორი ან სამი პირი. ტეხნიკურ ენაზე ამ უკანასკნელებს ეძახიან პუბლიკაციის გამგეებს, (distributeurs de publicijé) ჩვეულებრივ ენაზე ეს ის პირებია, რომელთა მიზანს პრესის მოსყიდვა შეადგენს“.

ი. სალაყაია.

(დასასრული იქნება).

## კ ა ნ ო ნ ე ბ ი

(მიღებული საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ)

### I

**შორაპნის მაზრის შავი ქვის გადასახადის გადიდებისა მრეწველთა საბჭოს სასარგებლოდ.**

1) შორაპნის მაზრის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს მიეცეს უფლება,—ვალის გადასახდელად, გაადიდოს აწინდელი საფუთო გადასახადი ერთი კაპეიკით, და შემოიღოს ორი კაპეიკის მაგიერ, სამი კაპეიკი ფუთზე იმ პირობით, რომ ეს გადიდებული გადასახადი დაწესდეს მხოლოდ ორას მილიონ ფუთ შავ ქვაზე.

2. ეს კანონი შედის ძალაში დღიდან იმისი გამოქვეყნებისა.

12 ივლისი 1918 წ.

### II

**საქართველოს სამხედრო გზის საგანგებო სადარაჯო რაზმისა.**

1) საქართველოს სამხედრო გზაზე წეს-რიგის დასაცველათ დროებით, სამი თვის ვადით, დაწესებულ იქნეს საგანგებო სადარაჯო რაზმი—თანახმათ იმ შტატისა, რომელიც ამასთანავე დართულ ცალკე სიაში არის აღნიშნული.

2) ზემო აღნიშნულ სადარაჯო რაზმში სამსახური არავის ანთავისუფლებს სამხედრო სამსახურისაგან.

3) იმ ღონისძიებათა განსახორციელებლათ, რომელიც ამ კანონის პირველ მუხლში არის აღნიშნული, გადებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან ორას ოთხმოცდა ოთხი ათასი ხუთის ორმოცდა ათი მანეთი (284.550) კრედიტი შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში.

4) ინსტრუქცია ამ რაზმის მოქმედებისა შემუშავებულ იქნეს შინაგან საქმეთა და სამხედრო მინისტრების შეთანხმებით.

5) ეს კანონი შედის ძალაში იმ დღიდან, როდესაც დამტკიცებულ იქნება საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ.

12 ივლისს 1918 წ.

### III

**გზათა სამინისტროს საავტომობილო განყოფილებისა.**

1) დაარსდეს გზათა სამინისტროსთან მიმოსვლისა და ტრანსპორტის მოსაწესრიგებლად საავტომობილო განყოფილება.

2) გადაეცეს ამ განყოფილებას ყველა საავტომობილო სახელოსნო, ავტომობილი, საწყობი, მასალა და სხვა ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომელიც იყო რუსეთის ფრონტის სამხედრო და საზოგადოებრივ-სამხედრო დაწესებულებათა განკარგულებაში.

3) მიეცეს ამ საქმისთვის გზათა მინისტრს სახელმწიფო ხაზინიდან სალიკვიდაციო და მიმდინარე საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად ას ორმოცდა ათი ათასი (150,000) მან. ავანსად.

16 ივლისი 1918 წ.

## ახალი ამბები

**თათბირი სამიწათმოქმედო სამინისტროში.** ამ თვის 16 და 17 მიწათმოქმედების სამინისტრომ მოაწყო თათბირი მიმღებ კომისიების და საადგილ მამულო კომიტეტების თანადასწრებით. ყველა მომხსენებელი ერთხმათ აღიარებს, რომ გლეხები ითხოვენ მიწას საკუთრებათ. ფასის შესახებ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ გლეხები თანახმა არიან გაიღონ ყველა ხარჯები, რომელიც მიწის ჩამორთმევით და დამტკიცებით იქნება გამოწვეული. რაც შეეხება მიმღებ კომისიების მუშაობას, ისინი ვერ მუშაობენ იმ მაზრებში, სადაც არეულობაა. ასეთი მაზრებია დუშეთის, თიანეთის და ბორჩალოსი, სადაც უკანასკნელ დრომდე არც კი ყოფილა მოწყობილი ადმინისტრაცია. ბორჩალოს მაზრიდან მომხსენებლებმა აღნიშნეს, რომ ადგილობრივი მემამულეები ცდილობენ ჩაითრიონ გერმანელი სალდათები და მათი შემწეობით აკრიბონ ღალა. ცოხსე ება იყო სიღნაღის მაზრიდან. თათბირის ვრცელ ანგარიშს ცალკე დავბეჭდავთ.

**მთავრობაში.** რუსული ნაც. საბჭოს შუამდგომლობა, რომ ფულით დახმარება აღმოუჩინონ მთავრობამ უარყო.

— შინაგან საქ. მინისტრის მოხსენება სპეკულიაციასა და ძარცვა-გლეჯასთან საბრძოლველათ რაზმის დაარსების შეახებ მთავრობამ მოიწონა და გადადოს 2 მილიონი ფონდიდან საჭირო თანხა.

— ადერბეიჯანის მთავრობის შუამდგომლობა, რომ გადაეცეს მათ გორის სემინარიის თათრის განყოფილება თავისი ინვენტარით, შეწყნარებულ იქნა.

— დადგენილ იქნა გაუქმდეს საფაბრიკო ინსპექცია და მათი ფუნქციები გადაეცეს შრომის სამინისტროს.

— გზათა მიმოსვლის მინისტრმა კითხვა აღძრა ფოსტა ტელეგრამა, ტელეფონის მოწყობისა და მათი გზათა მიმოსვლის სამინისტროს განკარგულებაში გადაცემის შესახებ. მთავრობამ დაადგინა ამ კითხვის განხილვა გადაიდოს და წინადადება მიეცა შინაგან საქმეთა მინისტრს გამოსთქვას თავისი შეხედულობა.

**ჯულფა ბაქოს რკინის გზის მოსამსახურეთა დაკმაყოფილების** შესახებ, რომლებიც ორდუბათში იმყოფებიან, მთავრობამ მოიწონა შრომის მინისტრის აზრი—მოსამსახურენი გამოყვანილ უნდა იქნენ ორდუბათიდან ოსმალეთის წარმომადგენელთან დიპლომატიურ მოლაპარაკებით. რაც შეეხება მათ ფულით დაკმაყოფილებას, ეს გადაეცა სალიკვიდაციო კომისიას და დაევალა შეძლებისა და გვარად დააკმაყოფილოს მათი მოთხოვნილება.

**ანარქიასთან ბრძოლა.** როგორც მოხსენებიდან სჩანს, სოფლებში ანარქიის გაძლიერების ერთი მიზეზთაგანი არის ის მოვლენა, რომ იქ არ იყვნენ იდეური მომუშავე ამხანაგები. სასოფლო კომისიამ ამ მოკლე ხანში აგზავნის დუშეთის მაზრაში მუდმივ მომუშავეებს. გაგზავნილ იქნება აგრეთვე მომუშავენი გორის მაზრაშიაც. კომისია ცდილობს ახლო მომავალში გამოსცეს გლეხებისათვის ჟურნალი. ჯერ კი კომისია გაგზავნილი მომუშავეების საშუალებით პოპულიარულ წიგნებს დაურიგებს გლეხებს.

**საქართველოში მოსახლე ერები.** სამანდატო კომისიამ კანონ-პროექტი წარადგინა ეროვნულ საბჭოში, რომლის თანახმად ეროვნულ საბჭოში სომხებს ეძლევა 10 ადგილი, თათრებს—4, რუსებს—3, ოსებს—2 და სხ. სულ არა ქართველთ ეროვნულ საბჭოში ეყოლებათ 28 წარმომადგენელი.

**ბუჰალტერია ქართულ ენაზე.** ალექსანდრე სათაშვილს შეუდგენია ორმაგი ბუჰგალტერია ქართულ ენაზე. ადგენს ქართულ ენაზე აგრეთვე კომერციულ არითმეტიკას და ფინანსიურ გამოანგარიშებას. მასვე განზრახვა აქვს მომავალ აკადემიურ წლიდან შემოიღოს თავის კურსებზე ბუჰგალტერიის საგნების სწავლა ქართულ ენაზე. ასეთი კურსები პირველი იქნება საქართველოში.

**ტყვიბულის ქვა ნახშირი.** მთავრობის მინდობილობით ტეხნიკურმა კომისიამ გამოიკვლია ტყვიბულის ქვა ნახშირის დამუშავების საქმე. კომისიის აზრით დღიურად შესაძლებელია 40 ათასი ფუთი ქვა ნახშირის დამუშავება, რაც საქართველოს რკინის გზებისთვის საკმაო იქნება.

**თხელი სათბობი მასალა** როგორც საგანგებო კომისიამ გამოარკვია, საკმაოა საქართველოს რკინის გზებისთვის 22 დღის განმავლობაში. ამიტომ განკარგულებაა გაცემული ყველა ორთქლმავალების ნახშირით სამუშაოდ გადასაკეთებლად. თხელი სათბობი მასალის შემონახვისათვის აზრათა აქვთ ელექტრონის ძალის მიცემა შეუწყვიტონ 1 აგვისტოდან კლუბებს, ცირკებს, პროექტორებს და სხვ. დაწესებულებებს. ილექტრონის განათება დარჩება მხოლოდ ქალაქის ბაღებში.

**სამიჯნაო განყოფილება,** რომელიც დღემდე იუსტიციის სამინისტროს განკარგულებაში იყო, გადაეცა მიწათმოქმედების სამინისტროს. მიწის მზომელთა სასწავლებელი—სახალხო განათლების სამინისტროს.

**ხოლერა.** 16 ივლისს საავადმყოფოებში იყო ხოლერით ავათმყოფი 144 კაცი, ხოლერის ნიშნებით—25.

**პურის მცხობელთა სექცია.** რადგანაც ტფილისში არ არსებობს პურის გამომცხობ მუშათა პროფესიონალური კავშირი, ტფილისის რკინის გზის დეპოს მუშათა საპურისმცხობელოს მუშები, რიცხვით 45 კაცი, შეუერთდენ ტფილისის სავაჭრო-სამრეწველოს მომსახურეთა პროფესიონალურ კავშირს და დაარსეს განსაკუთრებული სექცია. ამ დღეებში შესდგება საერთო კრება, რომელზედაც აირჩევენ ბიუროს.

**საბურთალოზე** საშინელი უსუფთაობაა. კარგა ხანია აქ მძვინვარებს სხვადასხვა გადამდები ავათმყოფობანი, ამას ეხლა ზედ დაერთო ხოლერა. უკვე 15-მდე იყო შემთხვევა ხოლერით გარდაცვალებისა. მიცვალებულებს მარხვენ იქვე, სადაც მოკვდება, ადგილობრივ ადმინისტრაცია ყურადღებას არ აქცევს ამ მოვლენას.

**ქალაქის დამცველმა შტაბმა** დააპატიმრა თავისი თავის კომისრად გამოცხადებისათვის პორ. ი. მარკოვი; ყალბი მოწმობით ფულის მიღებისთვის—კაპ. პ. პუროვსკი. ხორცის მოპარვისათვის ჯარისკაცი ივ. ბიბურიშვილი, უფროსის ბრძანების აუსრულებლობისათვის სემ. მაღლაკელიძე.

— დღეს უქმდება ქალაქის დაცვის შტაბი; შტაბის ფუნქციები გადავა გარნიზონის უფროსის განკარგულებაში.

**სასტუმრო „გრანდ-ოტელიდან“** გაიტაცეს 12 ათასი მანეთის საქონელი, რომელიც ეკუთვნოდა მამედ ბეკ კარიმოვს. ეჭვით დააპატიმრეს სასტუმროს 5 მოსამსახურე.

**კლუბების კავშირმა** დაადგინა განასაჩივროს ქალაქის საბჭოს დადგენილება კლუბების 11 საათზე დახურვის შესახებ.

**მუშათა კლუბში** (მიხეილ. ქ. 65) დღეს სახალხო სახლის სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება: „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდენ“ და „დავა“. დასაწყისი საღ. 8 ნახ. საათზე.

### კრებები და მიტინგები.

— დღეს, 18 ივლისს, საღამოს 7 საათზე თავის ბინაზე დანიშნულია მეოთხე რაიონის კოლექტივის კრება.

18 ივლისს საღამოს 5 საათზე დანიშნული მეორე უბნის ბინის კომიტეტების წარმომადგენელთა საერთო კრება სამოსამართლო პალატის შენობაში (ლუდვიგის ქუჩ. 32)

— დღეს, საღამოს 5 საათ. დანიშნულია 2-რე რაიონის კოლექტივის კრება. კოლექტივის ბინაზე.

## პროვინციის ქრონიკა

**ფოთი.** 7 ივლისს სოც. დემ. პოლიტიკურ კლუბში გაიმართა სამოქალაქო პანაშვიდი გიორგი ვალენტინის ძე პლეხანოვზე. მოწვეული ირაკლი წერეთელი დაესწრო.

მეორე დღეს, 8 ივლისს, საღამოს 6 საათზე, ამხ. ირ. წერეთელმა წაიკითხა ვრცელი ლექცია მიმდინარე მომენტზე ცირკის შენობაში, ლექციას დიდძალი ხალხი დაესწრო და მხურვალე ტაშით დააჯილდოვა ლექტორი.

**ლანჩხუთი** (გურია) კვირას 14 ივლისის მეორე ქართულ სკოლის პოლკის მწერლების მიერ უნდა გამართულიყო „დიდი საღამო“ რომელიც მეტად რთულ მიზეზების გამო გადაიდო 21 ივლისისთვის. შემოსავლის ნაწილი გადაიდება ქართული უნივერსიტეტის სასარგებლოდ.

**ს. ონოღიაში.** 24 ივნისს (ძვ. სტ.)



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვალერიან (ვალიკო) კოსტ. ძე შარაშიძის სოვნას

ომის დაწყებიდანვე სამხედრო სამსახურში მსახურებდა დასავლეთის ფრონტზე და მონაწილეობა მიიღო ბევრ საბედისწერო შეტაკებებში, სადაც ცნობილი იქნა ვალიკოს შეუდგარი და ფრიად მოსაზრებიანი წინააღმდეგობა მტერთან და დაჯილდოვებული იქნა ოთხივე ხარისხის გიორგის ჯვრებით.

1916 წელს ის დაბრუნდა სამშობლოში, სად. სუფსაში მშობლებთან და რამოდენიმე დღის შემდეგ ჩაეწერა ტფილისის რკინის გზის პოლკში. რევოლიუციის დაწყებიდანვე აქტიურ მონაწილეობას იღებს მასში და რამდენჯერაც დაეცალა მტრის ტყვიამ, დიდი ღვაწლიც მიუძღვის სამშობლოს და რევოლიუციის წინაშე როგორც დაუღალავ, თავდადებულს და სინდისიერს ადამიანს.

მას ამ უკანასკნელად ვხედავდით წარმომადგენლათ სხვადასხვა საპასუხისმგებლო ადგილებზე. ამ ბოლო დროს წითელი გვარდიის არტილერიის ხელმძღვანელი იყო.

რადგანაც ის პირნათლად ასრულებდა ყოველივე თავის ვალდებულებას, ებოძა კაპიტნობა, მაგრამ ვალიკომ უარი განაცხადა და დარჩა ისევ უბრალო ჯარისკაცათ, საქმით და ვალდებულებით კი არტილერიის უფროს ხელმძღვანელად.

12 ივნისს, 1918 წელს, მტრის ტყვიამ ის განგმირა სოფელ ვაშაგილისაში.

20 ამ თვეს (ახალი სტილით) უკანასკნელათ ეთხოვებიან მის საფლავს მისი მშობლები და ამხანაგები.

მშვიდობით ძვირფასო ამხანაგო! უკანასკნელად გეთხოვები. შენი ხსოვნა სამარადისო იქნება იმ მშრომელი ხალხის გულში, რომლის საუკეთესო მომავლისათვის ასე დაუღალავათ იბრძოდი!

ამხანაგი.

სენაკის სამხედრო საკრებულოს უფროსის თანაშემწე, პორუჩიკი პლატონ გაბუნიას სცემა პორუჩიკ კოლია ქაჯაიამ. გაცეცხლებულმა გაბუნიამ ამოიღო რევოლვერი, უნდოდა ქაჯაია მოეკლა, მან რამოდენიმე ტყვია გაისროლა, რომლის დროსაც მოკლულ იქნა სრულიად უდანაშაულო, წვრილი ცოლშვილის პატრონი ნესტორ დანელია. ადგილობრივ კომისარს დ. დანელიას ფეხებში ორი ტყვია მოხდა და მძიმეთ დაჭრილი წაიყვანეს. ჩხუბის მიზეზი პარტიული უთანხმოება ყოფილა. იმ დღეს ქაჯაია და გაბუნიას ლაპარაკიდან სჩანს აშკარად, რომ გაბუნია შავრაზმელი ყოფილა.

## მუშათა წერილები

### გერმანული გაზეთის იერიში.

საიდან და რა მხრიდან გნებავთ, რომ იერიში არ მოჰქონდეთ ჩვენსა და ჩვენი მთავრობის თუ ეროვნულ საბჭოს წინააღმდეგ!

ჩვენ გვესმის, როცა ჩვენზე იერიში მოაქვთ გაბოროტებულ ბალშევიკებს; ჩვენ გვესმის, როცა სომხის დაშნაკცაკანებისაგან გამოდის ეს იერიში; ჩვენ გვესმის, როცა აქ დარჩენილი ჭეშმარიტი რუსები თავგამეტებით გვებრძვიან და არაფრით გვზოგავენ. ისიც ვიცით, რა უდევთ გულში ჩვენს ე. წ. ეროვნულ-დემოკრატებს, როცა ჩვენს წინააღმდეგ გამოდიან!

მხოლოდ აგრე ადვილი მისახვედრი არ არის ჩვენთვის მიზეზი იმ იერიშისა, რომელიც მოაქვს გერმანულ გაზეთს „კავკაზიშე პოსტ“-ს ჩვენი მთავრობისა თუ ეროვნულ საბჭოს წინააღმდეგ! განა ასეთი იერიშებით ჰფიქრობს ხსენებული გაზეთი ჩვენსა და გერმანელებს შორის მეგობრული განწყობილების დამყარებას?

ჩემის ფიქრით, ეს გზა მეტად შემცდარია და სულ წინააღმდეგს მიაღწევს. გერმანულ გაზეთს ასე ღრმათ არ უნდა შეეტოპა კრიტიკის მორევში. მით უმეტეს, რომ ხსენებული გაზეთის ხელმძღვანელები არც იმდენათ კარგათ იცნობენ ჩვენს საქმეებს და მიტომ მათ მხოლოდ გამეორება უწევთ იმ სრულიად უსაფუძვლო შეხედულებათა, რომ-

ლებიც ვრცელდებიან ჩვენი ქვეყნის ორაგულ მტრებისაგან.

გაზეთი „კაუკაზიშე პოსტი“ ამბობს, რომ დღევანდელი მთავრობა სოციალისტებისაგან შესდგება და სოციალისტებში კი ნამდვილი მამულიშვილები და სახელმწიფო კაცები არ მოიპოვებიანო! მათ არა აქვთ შესაფერი ცოდნა და არც შეუძლიათ სახელმწიფოს საქმეთა გაძღოლაო!

ასეთი შეხედულობა სოციალისტების შესახებ საზოგადოდ ახალი არ არის: ამას ამბობენ მთელი ქვეყნის კონსერვატორები, ამას გაიძახიან გერმანიის იუნკრები და ამასვე იმეორებენ ჩვენი ზუბრებიც. და თუ საწყენია გაზეთ „კაუკაზიშე პოსტის“ ასეთი აზრი, მხოლოდ მიტომ, რომ ამას იგი სწერს სხვების აყოლით, სხვების პროვოკაციით.

ჩვენს ნორჩ რესპუბლიკას ჰყავს თავის სახელმწიფო კაცები, აღჭურვილნი ცოდნათ, ნდობით თუ ნიჭით: ნ. ჟორდანია, ნ. რამიშვილი, ნ. ჩხეიძე, ირ. წერეთელი, აკ. ჩხენკელი, ევგ. გეგეჭკორი და სხვები. ქართველი ხალხისთვის ესენი არიან უდიდესი მამულიშვილნი და უდიდესი დამცველნი მისი ინტერესებისა. და როცა მას ეუბნებიან—ესენი ვერ არიან შესაფერი სახელმწიფო კაცებიო,—ამით მას შეურაცხყოფას აყენებენ. განა ეს ვერ უნდა ეგრძნო გერმანულ გაზეთის რედაქციას?!

მეორედ იერიში ხსენებულმა გაზეთმა ეროვნულ საბჭოზე მიიტანა. მთავრობას თუ სოციალისტობით იწუნებდა, აქ არჩევნებში დაიწუნა. მან აქაც ვერ გამოიჩინა სიფრთხილე—გააკრიტიკა იგი მაშინ, როცა უკვე გაკრიტიკებული იყო შინაურებისაგან და გადაწყვეტილიც, რომ უნდა მომხდარიყო ხელ ახალი არჩევნები, მოწვეულიყო დამფუძნებელი კრება.

გაზეთი ჯერ ამბობდა, რომ სოციალისტები არ ვარგნანო და შემდეგ კი ასეთ რჩევას იძლევა: მათ ხელი უნდა გაუწოდონ სხვა პარტიების წარმომადგენელთ და ისე შექმნან შერეული ეროვნული საბჭოო. თუ უხეირონი არიან, როცა შერეულ საბჭოში იქნებიან, მაშინაც ხომ ასეთებად დარჩებიან?

გაზეთის ხელმძღვანელები აქაც საქმის უცოდინარობას იჩენენ და თან ამით მტკიცდება ჩამახილის ამოძახება.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ერთი მაინც ცხადია: ხსენებული გაზეთი ასე კადნიერად არ უნდა შეჰხებოდა ჩვენს შინაურ საქმეებს, მეტი სიფრთხილე და წინდახედულობა უნდა გამოეჩინა და მიუდგომლობისთვისაც არ ეღალატნა, თუ უნდოდა, რომ გერმანელებსა და ქართველებს შორის მეგობრულ განწყობილების ჩამოგდებისთვის ხელი შეეწყო.

მისი ასეთი იერიშები კი ჩვენ ეჭვებს გვიბადებს, რომ აქ სხვების ხელია შერეული, რომ ჩვენი მოწინააღმდეგენი არიან ამოფარებულნი გერმანული გაზეთის რედაქციის ზურგს უკან და მათ იქიდან მოაქვთ ჩვენს ნორჩ რესპუბლიკაზე იერიში.

ისევ ის.

## სახალხო მასწავლებელთა საყურადღებოთ

დასავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა კავშირის ახალ-სენაკის ფილიალურ განყოფილების მასწავლებელთა კრებამ 30 ივნისს აუცილებელ საჭიროებათ სცნო ამ ზაფხულში გაიხსნას მოსამზადებელი კურსები სახალხო მასწავლებელთათვის ქ. ახალ სენაკში. კურსების მოწყობა კრებამ მიანდო კომისიას. კომისიას პატივი აქვს აუწყოს სახალხო მასწავლებლებს, რომ კურსები ყოველ მიზეზის გარეშე გაიხსნება ოცი ივლისიდან და გაგრძელდება 20 აგვისტომდე. ლექციები იქნება წაკითხული ქართულ ლიტერატურიდან, საქართველოს ისტორია და გეოგრაფიიდან. აგრეთვე კურსებზე მასწავლებლებთ შეასწავლიან გერმანულ და ფრანგულ წერა-კითხვას. მოსულ მასწავლებელთ მიეცემა მხოლოდ ბინა; მაგრამ ამავე დროს შეგვიძლია ვთქვათ, რომ სათანადო მთავრობა თავზე ღებულობს კურსების მიერ გამოწვეულ ხარჯების ნაწილის დაფარვას, რაც საშუალებას აძლევს სახალხო მასწავლებლებს კურსებს დაესწრონ. მოვუწოდებთ სახ. მასწავლებლებს უსათუოდ მიიღონ მონაწილეობა კურსებზე; ჩვენი თავისუფალი სკოლის ბედი ჩვენს ხელთ არის; გვიახლოვდება სამოსწავლო წლის თავი; ჩვენ, სახალხო მასწავლებელნი, მოუმზადებელნი ვართ. დეე, უფრო მომზადებულად შევიდეთ სკოლაში, შევიტანოთ ახალი შუქი, დავაყენოთ სწორ და გარკვეულ გზაზე სკოლის გაეროვნება-გაქართულების საქმე. რაც მეტი მასწავლებლობა დაესწრება კურსებს, მით უკეთესი იქნება ჩვენი ახალთაობისთვის—მომავალისთვის:

კურსების მომწყობი კომისია.

P. S. დაბეჯითებით ვსთხოვთ სხვა ქართულ გაზეთებსაც ეს წერილი გადაბეჭდონ.

## მცირე შენიშვნა

„სოც. დემოკრატში“ ვიღაც Nemo ცდილობს ჩვენი ცხოვრების ერთი კვირის ანგარიში მიაწოდოს მკითხველს, მაგრამ ნამდვილათ კი ცდილობს გაავრცელოს განგაში და შექმნას რყევა. ის სწერს:

„... მე ვლაპარაკობ ფაქტებზე, რომელიც ჩვენში იწვევს განგაშს. ჩვენ არა ვართ დარწმუნებული, თუ რა მოხდება ხვალ. უკმაყოფილება, რასაკვირველია, გაიზრდება. მთავრობა კი ძველებურათ ხსნას რეპრესიებში დაინახავს...

ნაციონალიზაცია გამოწვეულია პოლიტიკური მოსაზრებით და არა საქმის ინტერესებით იქ, სადაც საქმიანობაა, არ არის ნაციონალიზაცია. მაგალითი—ქალაქის თვითმართველობა. იქ არც „საპოტაჟს“ აქვს ადგილი, არც უცხოელთა გამცემლობას“.

ამის შემდეგ გასაგები თანაგრძნობით სწერს ის ბაქოს პოლიტიკაზე, რომელიც სცდილობს კითხვის გადაწყვეტას არა „დამოუკიდებლობით“ და სეპერაციით. ამის შესახებ მოლაპარაკებაც-კი არის გამართული მოსკოვთანო.

თქვენი თქვენებთან თქვენ საქმეზე მოლაპარაკებას გამართავენ, ჩვენ კი რა შუაში ვართ ბ. Nemo?

ჩვენ ვიცით. თუ რა იწვევს თქვენში, ბ. Nemo-ებო განგაშს, მაგრამ დაგვეთანხმეთ, მოუთმენელია ასე სისტემატიურათ გავრცელება განგაშის იმ მიზნისთვის, რომელიც თქვენ დაგისახავთ. ეს უნდა გახსოვდეთ.

უკმაყოფილება გაიზრდებაო. რასაკვირველია, თქვენ ეს ჩვენზე უფრო კარგათ უნდა იცოდეთ, თუ ეცდებით...

მაგრამ თქვენი ნამუშევარი რომ თითქო იღუპება სადღაც მთებში?

ჩვენ ვიცით თვითმართველობის საქმიანობა—ამაზე კიდევ იქნება ლაპარაკი. ბაქოს „ინტერნაციონალობის“ სიმართლეზეც ნაადრევათ მიგვაჩნია დღეს ლაპარაკი,—ბევრი კი ითქმის.

თქვენ არ იცით, რა მოხდება ხვალ, მაგრამ ჩვენ კი ვიცით, თუ რა გსურთ რომ მოხდეს.

ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ ერთი კითხვა: ვსთქვათ გაგიღიმათ ბედმა და მოხდა „ის“.

აიღებთ მაშინ ჩვენ წინააღმდეგ თოფს თუ არა?

ალფა ც—ძე.

## ხოლერასთან ბრძოლა

ოფიციალური ცნობით 17 დღის განმავლობაში თფილისში 245 კაცი გამხდარა ავათ ხოლერით; მათგან ასზე მეტი უკვე გარდაცვლილა. მაგრამ ბევრი ავადმყოფი და გარდაცვლებული, უეჭველია, სტატისტიკის გარეშე რჩება. ასეთი ძლიერი ხოლერის ეპიდემია თფილისს არ ახსოვს. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ხოლერა ივლისის დამლევს და აგვისტოში უფრო ძლიერდება, მაშინ ცხადი იქნება, თუ რა საშიშროება მოელის საქართველოს დედაქალაქს და მთელ საქართველოს ამ სენისაგან. ოთხი მეხუთედი ხოლერიანი ავადმყოფებისა ლტოლვილებია. ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც ისინი არა ნორმალურ ცხოვრების პირობებში იმყოფებიან: მოკლებულნი არიან საჭმელ-სასმელს, სახლ-კარს და საშინელ ანტისანიტარულ პირობებში ცხოვრობენ. საზოგადოთ წელს ხალხი დასუსტებულია სასურსათო და სხვა კრიზისების გამო და ამიტომ ხოლერა უფრო სასტიკ ხასიათს მიიღებს წელს, ვიდრე სხვა დროს. მიუხედავათ ასეთი მართალაც და საშინელი მდგომარეობისა, ჩვენ ძლიერ ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ მას. ჩვენი ნერვები ისე დააჩლუნგა ომიანობამ და სხვა უბედურებამ, რომ დავკარგეთ ამ უბედურების შეგნების უნარი. სწორეთ ამით აიხსნება, რომ სამი კვირაა, რაც ხოლერა გაჩნდა და ჯერ მთავრობას არაფერი ზომები არ მიუღია ამ სენთან საბრძოლველათ. თუმცა ქალაქის გამგეობა შეუდგა ხოლერასთან ბრძოლის მოწყობას, მაგრამ, სამწუხაროთ, ეს ბრძოლა არ სწარმოებს სათანადო ენერგიით. ამიტომ საჭიროა თვით საზოგადოება ჩაერიოს აქტიურად ხოლერასთან ბრძოლის საქმეში და მით დაეხმაროს ქალაქის გამგეობას და მთავრობას ამ დიდ საქმის მოწყობაში. ბრძოლის საწარმოებლათ საჭიროა განსაკუთრებული უფლებებით აღჭურვილი ორგანო და საკმაო თანხა. ამ თანხის შესდგენათ უნდა შემოღებული იქნას განსაკუთრებული სახოლერო გადასახადი.

როგორც ზევით დავინახეთ, ხოლერა უმეტესათ ლტოლვილებშია გავრცელებული. ამ გარემოებას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. გარდა თბილისისა ბევრმა ლტოლვილებმა თავი მოიყარეს ბორჯომ-ბაკურიანის რაიონში. მათ შორის ბლომათაა გავრცელებული სხვადასხვა გადამდები სენი მოსალოდნელია ხოლერა იქაც გაჩნდეს. ამბობენ, უკვე იყო რამდენიმე ხოლერიანი შემთხვევაო. ამიტომ საჭიროა ფართოდ დაისვას მთავრობამ ლტოლვილთა საკითხი. ლტოლვილთა საკითხის გადაუჭრელად ხოლერის წინააღმდეგ რაციონალური ბრძოლის წარმოება შეუძლებელია.

ამ საკითხის გადაწყვეტაში დაგვიანება მართლაც და სიკვდილს უდრის.

ზემო ნათქვამის თანახმად საჭიროა:

1) დაარსდეს განსაკუთრებული უფლებებით აღჭურვილი კომისია ხოლერასთან და ეპიდემიურ სნეულებებთან საბრძოლველათ. ამ კომისიას სათავეში უნდა უდგეს გამოცდილი და განსწავლული ბაქტერიოლოგი და უნდა შედიოდნენ შიგ: მთავრობის წარმომადგენელი, ქ. თფილისის წარმომადგენელი და ლტოლვილთა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

2) შემოღებულ უნდა იქნეს განსაკუთრებული გადასახადი ხოლერის ფონდის შესაქმნელათ.

3) ლტოლვილთა ორგანიზაციებს აღმოუჩინოს ფართო ფინანსიური დახმარება.

ექ. ნ. რუხაძე.

## თფილისში მცხოვრებ მეგრელთა კრება

თფილისში მცხოვრებ მეგრელთა ერთმა ჯგუფმა განიზრახა თფილისში დაარსებია სამეგრელოს დამხმარე კომიტეტი. ასეთი კომიტეტის დაარსება გამოიწვია იმ არაჩვეულებრივმა მდგომარეობამ, რომელიც მთელს საქართველოს და კერძოთ სამეგრელოს მძიმე ტვირთად დააწვა. კრებას დაესწრო (14 ივლისს) 250 კაცამდე. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა დუტუ მეგრელი დღის წესრიგი იყო: მოხსენება მიმდინარე მომენტის შესახებ, მოხსენება სამეგრელოს მდგომარეობის შესახებ და დამხმარე კომიტეტის არჩევა. მიმდინარე მომენტზე მოხსენება გააკეთა ი. სალაყაიამ. ორატორი შეეხო აგრეთვე იმ გარემოებას, რომ საქართველომ თავი შეაფარა გერმანიას, რომელმაც სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. ამ დამოუკიდებლობას ჩვენ შევინარჩუნებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ანარქია მოვსპეთ, რადგანაც გერმანიის კაპიტალი: (როგორც საერთოდ კაპიტალი) მოითხოვს წესიერდაწყობილ სახელმწიფოებრივ წყობილებას, ის არ ითმენს ანარქიას. ამიტომ გერმანია მხოლოდ მაშინ ჩაერევა ჩვენს შინაურ საქმეებში, როცა მის კაპიტალს საფრთხე მოელის. მარტო სახელმწიფო ვერ ჩააქრობს ანარქიას, ვერ აღადგენს სრულ წესრიგს, საჭიროა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა დახმარება აღმოუჩინონ მთავრობას. სამეგრელოს დამხმარე კომიტეტმა, რომელიც დღეს აქ იქნება არჩეული, ამ მიმართულებითაც უნდა იმუშაოს.

სამეგრელოს მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ვასილ გადილიამ მომხსენებელმა ვრცლად აღნიშნა ყველა ის მიზეზები, რომლებმაც გამოიწვია სამეგრელოში გამოსვლები, შეეხო გამოსვლების ხასიათს სხვადასხვა ადგილას და გამოთქვა აზრი, რომ იარაღთან ერთად საჭიროა კულტურული მუშაობის გაღვივება და ხალხში განათლების შეტანა, საჭიროა აგრეთვე მიმდინარე პოლიტიკური მდგომარეობის გაცნობა ხალხისათვის. მცირე კამათის შემდეგ კრება შეუდგა კომიტეტის არჩევას. კომიტეტში არჩეულ იქნენ: ს. დემოკრატებიდან: გ. ჩოჩია, ივ. მზარელუა დ ჯალაღანია, მათ კანდიდატებათ აკ. სიგუა, ი. ნორაკიძე დ ბოკუჩავა. ს.-ფედერალისტებიდან: ცომაია დ კორძახია, კანდიდატათ ელ. ჩიქოვანი. ნაც.-დემოკრატებიდან—შალამბერიძე, კანდ. მელია. რად. დემოკრატებისაგან—დ. ჩიქოვანი, აგრეთვე პერსონალურად არჩეულ იქნა დუტუ მეგრელი (ხოშტარია) უპარტიო. ს. რევოლიუციონერებს თავისი კანდიდატი არ წარმოუდგენიათ ჯერ. სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქნენ: ზოდელავა, გ. ჩიქოვანი, თედო სახოკია, მიმინოშვილი და იოსელიანი. კომიტეტს დაევალა დაუყონებლივ შეუდგეს მუშაობას და ახლო მომავალში წარმოუდგინოს საზოგადო კრებას ამ საზოგადოების წესდება.

აკ. სიგუა.

## უმთავრესი დებულებანი სამკ.-სასან. საქმის მოწყობისა საქ. რესპუბლიკაში

1) ჯანმრთელობა არის უმთავრესი ღირძი ერის არსებობისა და კეთილდღეობისა და მასზე ზრუნვა, მისი საუკეთესოთ დაყენება სავსებით ერის უფლებას და მოვალეობას უნდა შეადგენდეს.

2) ყოველივე სამკურნალო-სასანიტარო ზომების ცხოვრებაში გატარება უფრო შესაძლებელი და საადვილოა, როდესაც ეს თვით ხალხის ინიციატივით ხდება, ამიტომ პრაქტიკულად სამკურნალო-სასანიტარო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება უნდა დაეკისროს ერობათა ორგანიზაციას, როგორც უფრო ცოცხალს, მოძრავს და ხალხთან მჭიდროთ შეკავშირებულს.

3) მეცნიერული მედიცინა, რომელიც იმყოფება მუდამ განვითარების პროცესში, უნდა იყოს თავისუფალი, დამოუკიდებელი ერობათა კავშირისაგან და სახელმწიფო საქმეთ გამოცხადებული.

4) ამგვარათ საქართველოს რესპუბლიკაში იარსებებენ ერთის მხრით სამეცნიერო საექიმო სასანიტარო ინსტიტუტი (უნივერსიტეტით) და მეორეს მხრით—სამკურნალო-სასანიტარო ორგანიზაციები ერობათა კავშირისა.

5) სამეცნიერო საექიმო სასანიტარო ინსტიტუტის განყოფილებანი ჯერ ჯერობით იქნებიან: 1) საექიმო სტატისტიკა; 2) ბაქტერიოლოგია პასტერის სადგურის, ყვავილის ასაცრელი ინსტიტუტის, სეროლოგიის, სასამართლო მედიცინის, ქიმიურ, მალიარის და ცხელი ქვეყნების სენთა ქვე-განყოფილებებით; 3) საკურორტო ტუბერკულიოზის ქვეგანყოფილებებით; 4) სანეითალო და 5) საფარმაცევტო განყოფილება.

შენიშვნა I: ამ ინსტიტუტის განყოფილებათა ორგანიზაცია მოხდება არსებულ დაწესებულებათა შეერთებით (მიხეილის საავადმყოფო, სამოქალაქო და სამხედრო საოლქო ლაბორატორია პასტერის სადგურით, საბებიო ინსტიტუტი და სხვ.).

6) სამეცნიერო ინსტიტუტის მართვა-გამგეობის საქმე ეკისრება მის განყოფილებათა გამგეების კოლეგიას.

7) სამკურნალო სასანიტარო საქმის ადგილობრივ მოწესრიგება ეკუთვნის ერობათა სასანიტარო საბჭოებს. მათი მოქმედების გამაერთიანებელი ორგანო იქნება ცენტრალური სასანიტარო საბჭო.

8) აღნიშნული მე 8 მუხლში ორგანოთა კონსტრუქცია, მისი შემადგენლობა და კომპეტენცია უნდა შემუშავდეს განსაკუთრებულ ინსტრუქციის სახით თვით ერობის მიერ.

9) უმაღლესი სასანიტარო აღმასრულებელი ორგანო საკანონმდებლო ინიციატივით აღჭურვილი, რომელიც იზრუნებს სამეცნიერო ინსტიტუტის ფინანსების მოწესრიგებაზედაც, შესდგება: თავმჯდომარე-მთავრობის წარმომადგენელი (1), წევრებ: სამეცნიერო კოლეგიის (2), ერობის ცენტრალურ სასანიტარო საბჭოს წარმომადგენლები და (3) სამხედრო ინსპექტორი.

შენიშვნა II: დროებით, სანამ მოხდებოდეს ზემო ჩამოთვლილი ყველა სამკურნალო-სასანიტარო ორგანიზაციათა მოწყობა, საქართველოს რესპუბლიკის მთელი სამკურნალო-სასანიტარო მართვა გამგეობა უნდა მიენდოს მთავრობისაგან ნდობით აღჭურვილ განსაკუთრებულ კომისარს, რომელიც შექმნის სათანადო ორგანოს.

ქართველ ექიმთა ერთი ჯგუფი.

## თიანეთის აჯანყება და მისი მეთაურები

თიანეთში მომხდარ ამბების შესახებ ზოგიერთმა გაზეთებმა მეტად ყალბი ცნობები გაავრცელეს და მით მკითხველები შეცდომაში შეიყვანეს. ამ გარემოებამ მაიძულა, როგორც რევოლიუციის პირველ დღეებიდან ადგილობრივად მცხოვრები და მომხდარ ამბებას ერთ ერთ მოწამეს, ხელში კალამი ამეღო და რამდენათაც ეს ჩემგნით იქნებოდა შესაძლებელი, სიმართლე აღმედგინა.

ძველი წესწყობილების დანგრევით და რევოლიუციის გამარჯვებით ბევრი ადამიანების კეთილდღეობა შეირყა: ზოგს წაერთვა მინიჭებული პრივილეგიები, ზოგს დაეკარგა თფილი და სარფიანი ადგილი და სხვ. ეს რევოლიუციით უკმაყოფილო ელემენტები იმ თავითვე შეუდგენ ბნელ ხალხში პროვოკაციის ქსელის გაბმას და არევ დარევის გამოწვევას. ეს იყო საერთო მოვლენა მთელს რუსეთში და ამას ვერ აცდებოდა ვერც თიანეთის მაზრაც. ყოფილი სოფლის მწერლები, ნამამასახლისარები, ნაურიადნიკლები და სხვ. აი ვინ დაძრწოდა ბნელ მასაში, ვინ აღელვებდა ხალხს მთავრობისა და რევოლიუციის წინააღმდეგ. თიანეთის მაზრაში ამ ხალხმა დიდხანს ვერ მოიკიდა ფეხი, ჩვენი ამხანაგების ენერგიულ მუშაობის წყალობით, მათ საშუალება ესპობოდათ თავიანთ პროვოკაციულ ქსელში გაებათ გულუბრყვილო გლეხობა. მაგრამ დაიწყო დუშეთის ამბები, ამ რევოლიუციის ყვავყორნებმაც ფრთები შეისხეს, შესაფერი დრო იხელთეს და თავის მიზნების განხორციელებას შეუდგენ. გააბეს კავშირი დუშეთთან, დაძრწოდენ გლეხობაში და ასეთ შავრაზმულ აგიტაციას ეწეოდენ: „აი, ხომ ხედავთ ხალხო, რა სდომებია თქვენთვის სოც.-დემოკრატიას?! ისინი აგზავნიან თქვენს წინააღმდეგ წითელ გვარდიას, მათ სურთ ჯერ იარაღი აგყარონ, შემდეგ მამულები ჩამოგართვან ისევ თავადებს დაუბრუნონ. ფრთხილად! არ დაანებოთ იარაღი, თორემ დაიღუპებითო“. შეუგნებელ გლეხობას მეტი რა უნდოდა. ისინი გაება ამ პროვოკაციის მახეში და აჰყვენ ხალხის მტრებს და მოღალატეებს, სრული დარწმუნებული იმაში, რომ მხოლოდ ისინია მათი მხსნელი და კეთილის მდომელი. მაგრამ ვინ იყვნენ ეს ახლად მოვლენილი „რევოლიუციონერები“ და ხალხის „მხსნელნი“?!

აქ ზედმეტი არ იქნება გავაცნო მკითხველთ აჯანყების ხელმძღვანელნი, რადგანაც მათი ახლო გაცნობით ნათელი გახდება თვით მოძრაობის ხასიათი, აზრი და მიზანი.

დავიწყებ ს. ერწოდან. აქ აჯანყებულებს სათავეში მოექცა ნაციოალ-დემოკრატი შაქრო გელოვანი.

ამ ბნელი პიროვნების მოკლე ბიოგრაფია ასეთია: ის ჯერ მსახურებდა „პრისთავთან“ მწერლად, როდესაც კარგათ დახელოვნდა ქრთამის აღებაში და თავის მასწავლებელ-პრისტავსაც დაუწყო ამ ხელობაში მეტოქეობის გაწევა—მასწავლებელმა ის ვერ მოითმინა და იქვე მეორე სოფელს უფეშქაშა. თავისი ხელობა გელოვანმა ამ სოფელში კიდევ უფრო განავითარა. გერმანიასთან ომის გამოცხადების შემდეგ, როდესაც მთავრობამ სათადარიგო ჯარისკაცების ოჯახების აწერა დაიწყო „პაიკების“ დასარიგებლათ, გელოვანმა ეს თავის შემოსავილ წყაროდ გაიხადა, და სოფლებს განუცხადა: „ვინც ხუთ ხუთ მანეთს მომცემს მას შევიტან სიაში სამხედრო დაწესებულებებში წარსადგენათ და დანარჩენს კი არაო“. მართლაც ვინც ხუთი მანეთი ვერ იშოვა, ისინი არ იქნენ შეტანილი და „პაიკები“ დღემდინაც არ მიუღიათ. მე არ შევუდგები აქ გელოვანის მიერ ჩადენილ ყველა „საგმირო საქმეთა“ აღწერას, ვინაიდან ეს მეტად შორს წაგვიყვანდა. მის დასახასიათებლათ საკმარისია ეს ზემოთმოყვანილი ფაქტიც.

გელოვანის მარჯვენა ხელად ითვლებოდა აჯანყების მეორე გმირი ეგნატე ჯოვორაშვილი. ის თორმეტი წალიწადი მსახურებდა „კუჩრათ“ ფოსტაში. აქ ის კარგად დახელოვნდა „ნაჩაის“ „ენა მახვილობის“ წყალობით და გაიძვერაობით ნიკოლოოზის მედალი გრძელი ჯაჭვით ჩამოჰკიდეს გულზე და სათავეში მოუქციეს საყდრიონის საზოგადოებას. იმ დროს მთავრობას აზრათ ჰქონდა თფილისს თიანეთის გზა შეე ეთებინა და სამხედრო გზათ გადაექცია; ეს გზა გლეხებს ჰქონდა აღებული გასაკეთებლათ განსაზღვრული ფასით. მაგრამ აქ მუამავალათ გამოჩნდა ზემოხსენებული ჯოვორაშვილი, ის ღებულობდა ტეხნიკიდან სრულად ფულს, ხოლო გლეხობას მესამედსაც არ უბრუნებდა, ზოგს კი სრულიად არ აძლევდა. ეს კარგათ იცის ყველა ადგილობრივმა გლეხებმა და აგრეთვე იმ გლეხებმაც, რომელნიც გვერდში ამოუდგენ თავის დამლუპველ ჯოვორაშვილს და მასთან ერთად ახალი მთავრობის წინააღმდეგ გაილაშქრეს. ეს მხოლოდ ერთი ფაქტია მის მრავალმხრივი „მოღვაწეობიდან“.

ეხლა გადავიდეთ მეორე „გმირზე“. ეს გახლავთ ბიძინა არაბული (ყოფილი „ურიადნიკი“). ცხადია უსწავლელ კაცს ურიადნიკობას არავინ მისცემდა თუ „ნაჩალნიკ პრისტავთან“ ქრთამის ზიდვით წელს არ დაიზიანებდა, და სწორედ ბიძინა არაბულმაც ამ საშუალებით მიაღწია „ურიადნიკობას“, ხოლო როცა უმაღლესი სამსახური ჩაიბარა, აქ მას აღარ ეპიერებოდა სხვებისათვის ქრთამის მიცემა, პირიქით, ქრთამის აღებაში თითონაც კარგათ გამოიწაფა და თავის ჯიბესაც გულმოდგინეთ ისქელებდა. მან ჩაიბარა ერწოს პოსტი. ზოგჯერ პრისტავის საქმესაც განაგებდა და თავისი მწვავე მათრახით არა ერთხელ აჭრელებია გლეხების ზურგი. ბიძინას მათრახის დღი ეხლაც კი ატყვია იმ გლეხებსაც რომელნიც მის ფეხს ხმას აჰყვენ და მასთან ერთად დემოკრატიული მთავრობის წინააღმდეგ გაილაშქრენ. აქ მე ადგილი ნებას არ მაძლევს ფართოდ შევეხო ბ. არაბულის „მოღვაწეობას“, ვეხები მხოლოდ გაკვრით.

დანარჩენი პირები, რომელნიც ათისა და ოცის თაობას იღებდენ ამ ამბოხების დროს, უმთავრესათ მოქმედებდენ ძალაუნებურად, გელოვანის რაზმის შიშით. გელოვანის რაზმს კი ასეთი გადაწყვეტილება ჰქონდა მიღებული: ვინც იმათ ეკლიან გზაზე არ გაივლიდა, მას უნდა შემოეტანა რაზმის სასარგებლოთ სამოცი თუმანი ფული, ერთი ძროხა ან ხარი საკლავად, 15 ფუთი პური და თან უნდა ჩამორთმეოდა იარაღი. ეს გადაწყვეტილება რაზმს მაშინვე მოჰყავდა სისრულეში. აი ეს იძულებული ხალხი, რამდენიმე სოფლის [illegible] თითურთ ([illegible]) წავიდა [illegible] ბოლშევიკების დასახმარებლად. მაგრამ როცა დაათვალიერეს თავისი რაზმები და რა დაინახეს შიგადა შიგ ბევრი მეზობლები აკლდათ, ისევ უკან გამობრუნდენ, რომ უფრო მეტი ხალხი გამოეყვანათ, გელოვანის გეგმით დუშეთის დასახმარებლად, რა თქმა უნდა ამ ხალხს ყველას იარაღი არ ექნებოდა, და ამიტომ დაადგენ შემდეგ მოსაზრებას: წავიდეთ თიანეთში დავამტვრიოთ „ცეიხგაუზი“ გამოვიტანოთ იარაღი, პატრონები და შემდეგ მივეშველოთ ჩვენს ძმებსო.

აი აქ ამ დროს ჩაუდგა გულში ნათელი გელოვანს და იმის დამქაშებს, მათ იარაღის წაღება იმდენათ არ ეინტერესებოდათ რამდენადაც მთელი კომისარიატის ამოწყვეტა. ეს კი იმისთვის, რომ წინა დღეებში კომისარიატის ერთერთ წევრმა ასეთი წინადადება მისცა გელოვანს და მის რაზმს: მაგრამ ნუ იქცევით, მშვიდ მცხოვრებლებს ნუ აწუხებთ, ბეგარას და ხარჯს ნუ ადებთ, ნურც ცუდ უბრალოზედ კაცებს ხვრეტთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველას იარაღი აგეყრებათ და პასუხი მოგეთხოვებათო. და აი ამ წინადადების გამო გადაწყვიტეს მთელი კომიტეტის პრეზიდიუმის დახვრეტა, და მაზრის სამმართველოს დანგრევა. რაც სისრულეში მოიყვანეს, მხოლოდ ზოგიერთმა პრეზიდიუმის წევრებმა დიდი გაჭირვების შემდეგ გაასწრეს კომისართან ერთად. მაგრამ რამდენიმე ამხანაგი კი დაიჭირეს და მხეცურად აწამეს: რამდენჯერმე გამორეკეს დასახვრეტათ, მაგრამ ზოგიერთი შეგნებული და გამოფხიზლებული გლეხების წინააღმდეგობის გამო ეს ბოროტ-მოქმედება სისრულეში ვერ მოიყვანეს.

ეხლა გადავიდეთ თვით თიანეთის აჯანყებაზე. ვინ არიან მისი მეთაურები? ესენი არიან ძველ სამმართველოში სამსახურე ჩინოვნიკები. მათ შორის ხვდებით აგრეთვე ნაციონალ დემოკრატებსაც. განა არ გკვირთ მკითხველნო როცა ნაციონალ დემოკრატები ბოლშევიკური სამოსელით გამოდიან და იმათ როლს ასრულებენ ხალხის წინაშე?! საბრალო ხალხმა კი არ იცის თუ რას უმზადებს მათ ნაციონალ დემოკრატები ასეთ ბოლშევიკური გამოსვლით!

ზემოთ მოხსენებულ ჩინოვნიკებს გარდა თიანეთის ამბოხებას სათავეში მოექცენ აგრეთვე გიორგი ბურდული და ივანე ბადურაშვილი ორივენი ძველად წარჩინებული „სტრაჟნიკები“ იყვნენ, ყველას კარგათ მოგეხსენებათ თუ რა ენდომებათ ხალხისთვის, ამ ხალხის მოღალატეებს.

ამათ აჰყვა აგრეთვე ყოფილი ნასტრაჟნიკალი ნიკო ბერიკაშვილი. ეს უკანასკნელი ძველმა მთავრობამ სტრაჟნიკობის დროს თოფის გაყიდვისთვის გაასამართლა და რვა თვე თელავის ციხეში იჯდა. იქ, ციხეში ყოფნის დროს მას ესწავლა ცოტა რამ და იქაურ გლეხებში შეგნებულ პირად ითვლებოდა, აი ამისთვის გლეხებმა ის წამოაყენეს მაზრის სამიწად მომქმედო კომიტეტში წევრათ. მან კი თავისი ძველი ხასიათი არ მოიშალა და როგორც ძველ მთავრობას თოფი გაუყიდა ისე აქ კიდევ ამხანაგები გაჰყიდა იუდა ისკარიოტელივით, და თითონ დაუწყო თავის ამხანაგებს თოფით დევნა.

აი ამ ვაჟბატონებმა დაამტვრიეს სამმართველო, დასჭრეს საქმის შკაფები, დაიტაცეს მაზრის ქონება, თოფები და პატრონები, დაიჭირეს და აწამეს რამდენიმე ამხანაგი, მაგრამ ამით არ დაკმაყოფილდენ და რომ თავი ემართლებინათ ხრიკსაც მიმართეს. აი რას აწერინებენ თავიანთ აგენტებს: „თიანეთში არავითარი ამბოხება არ მომხდარა ხალხი უკმაყოფილო იყო მხოლოდ მაზრის კომისარიატით, რაც თვით კომისარიატის უტაქტო მოქმედების ბრალია. და მისი გადაყენების შემდეგ მაზრაში სრული სიმშვიდე არისო“. მაგრამ ამის დამწერთ ავიწყდებათ, რომ სანამ კომისარიატის წინააღმდეგ გაილაშქრებდენ, ერწოელი და ზემო თიანელი ბრბო რამდენიმე სოფლის გამოკლებით, დუშეთის მაზრაში იბრძოდა გვარდიელების წინააღმდეგ!

და მხოლოდ იქიდგან დაბრუნების შემდეგ რამდენიმე დუშეთელი მეამბოხეების დახმარებით გაილაშქრეს კომისარიატის წინააღმდეგ... მაგრამ დაუშვათ და ვსთქვათ, რომ მარტო კომისარიატის გადაყენება უნდოდათ. მაგრამ ამისთვის რა საჭირო იყო ამბოხების მოხდენა, განა ამას უმისოდაც ვერ იზამდენ?! აქ აშკარად სჩანს თუ როგორ სტყუოდენ ზემოთ მოყვანილი სტრაჟნიკების დამწერნი.

სწერდენ აგრეთვე თითქოს კომისარიატის ერთი წევრი იარაღით ვაჭრობდაო, თუ მეამბოხეების აგენტი არ არის ეს ვაჟბატონი. რატომ სახელ და გვარს არ ასახელებს? რაც შეეხება იარაღით ვაჭრობას, და სხვა მრავალ ბრალდებებს, რომელსაც კომისარიატის წინააღმდეგ

* * *

როგორც მხედარი, უშიშარი, თავგანწირული,
ცხენის ჭიხვინით მიჭქრის ველად და მიიმღერის,
ისე გაისმის მხნე სიმღერა ჩემი გმირული,
სიმღერა მძაფრი, ზარ-დამცემი მრისხანე მტერის!

და თუ მუხანათ შავ ბედისგან გულ დაისრული,
მკერდ სისხლიანი ტიალ მინდვრად ძირს დავეცემი,—
მოვკვდები ისე, რომ მოსისხლე მტრის დასაცინად
სულს არ ალმოხდეს სინანულად წუხილი ჩემი!

გ. ქუჩიშვილი.

...აყენებენ აშკარა ცილის წამებაა! ამას გამოძიებაც დაამტკიცებს!

აი კიდევ რა საზიზღარი ტყუილი: ხალხს ტყვიისმფრქვეველები დაუშინეს და რომ შეატყვეს ხალხთან ვერას გახდებოდენ გაიქცნენო".

ვსთხოვ ამის დამწერს რომ გონება გაიხსნას და გაითვალისწინოს, რომ ტყვიის-მფრქვეველების მსროლელები ხალხის მოკეთეები იყვნენ, და არა ისეთი მტრები, რომლებმაც ეს ხალხი აალელვა, იმას ხომ ის ადგილიც ამტკიცებს საიდგანაც ტყვიის მფრქვეველებს ისროდენ; მსროლელებს რომ სდომებოდათ არც ერთს მეამბოხეს ცოცხალს არ გაუშვებდენ, რადგანაც ტყვიის-მფრქვეველები მომაღლო ადგილებზე იყო გამაგრებული და ოთხი კუთხიდან როგორც ხელის გულზე ისე დასცქეროდა მეამბოხეებს. მაგრამ ხალხის დაწყვეტა არავის აზრათ არ მოსვლია, პირიქით ყველანი ერთი მეორეს ეხვეწებოდა: „ჰაერში, თუ ძმა ხარ არავინ დაიჭრას ან არ მოკვდეს, ჩვენ მაგათსავით ხომ არ გავგიჟებულვართო".

და თუ მაინც ტყვიის-მფრქვეველები ამუშავეს ეს იმისთვის, რომ მოულოდნელად თავზე დასხმულ ბრბოსაგან გზა გაეკაფათ და უვნებლად გადარჩენილიყვენ. რომ ეს ასე იყო, ამას ისიც ამტკიცებს რომ ოთხი ტყვიის მფრქვეველის სროლით არც ერთი კაცი არ დაჭრილა. და რომ ისინი ხალხის მოკეთეები არა ყოფილიყვნენ, ვიმეორებ, იქიდან ერთი კაციც არ წაგვივიდოდა ცოცხალი!

და ყველა ამის შემდეგ როცა სიმართლე ირკვევა, და მაგათ დაფარულ გეგმას ფარდა ეხდება, ლობე ყურეს ედებიან რომ ამით თავი იმართლონ.

მაგრამ ეხლა გვიანღა არის, თვით გლეხებსაც ეტყობათ გამოფხიზლება იმ გლეხებს, რომლებიც მაგათ ძალა უნებურათ აიყოლიეს.

მათ ჩარგეს თიანეთის მაზრაში ხე ბოროტისა მხოლოდ უნდა ახსოვდეთ, რომ ფესვებს ის ვერ გაიდგამს და სრულებით გახმება; დარჩება მხოლოდ ნაშთათ რომლითაც მომავალი თაობა მოიგონებს მათ მოღალატურ მოქმედებას და საუკუნო წყევა-კრულვას შეუთვლის მათ!

ერწოელი

## სად.-მამულო რეფორმა

**სურამ-ხაშურის რაიონი.** მიწების ჩამომრთმევმა კომისიამ უკვე ჩამოართვა შემდეგი მიწები: 1) ქალაში მ. აბაშიძეს 100 დეს. 2) ს. ცხრამუხაში ქ. ამირეჯიბს 18 დეს.

შემდეგ კომისია გადავიდა ოსიაურის საზოგადოებაში, რომელიც ანარქიის ბუდეთ ითვლება. ამ საზოგადოებაში მიწები ბევრია: 1) გ. ნ. ვეზირიშვილის მთელი ქონება, რადგან თითონ მოეკლათ და მემკვიდრე არ ყოლია. 2) ი. ნ. ვეზირიშვილს ჩამოვართვით 87 დეს. და 2000 კ. საჟ. 3) კ. ნ. ვეზირიშვილს 135 ნახ. დეს. 4) დ. ა. ვეზირიშვილის მემკვიდრეს 147 ნახ. დეს. 5) გ. დ. ვეზირიშვილს 419 დეს. 6) მემკვიდრეებს ვეზირიშვილებს ეკ. და ან. ლეონიძეებს 213 დეს. და 47 საჟ. 7) ივანეს, დავით, ლევანი იოსებისძეებს — მემკვიდრეებს 219 დეს. 680 საჟ. 8) ტ. ი. ჯაფარიძეს 128 ნახ. დეს.

ყველა ზემოჩამოთვლილ მემამულეებს დაუტოვეთ ის, რასაც კანონი უტოვებს. შემდეგ კომისია გადავიდა სურამის რაიონში—სოფელ დიდანში (იტრის საზოგადოება). იქ მივიღეთ: 1) დიმიანოვიჩის მამული ზომით 1089 დეს. და 2340 კ. საჟ. 2) თფილისის სათავად-აზნაურო ბანკის მამული 136 დეს. და 1125 საჟ. 3) სოფ. ოძისში ექ. ტყემალაძისა 121 დეს., ხოლო მას დაუტოვეთ 15 დეს. 4) ს. ბიჯნისში იოსებ მურმანიშვილის მემკვიდრეებს ჩამოვართვით 45 დეს.

სოფელ ბიჯნისში თავს დაგვესხნენ და კინაღამ ამოგვწყვიტეს. საქმე ასე იყო: ამ სოფელში ვმუშაობდით სამი დღე. დილით როცა სამუშაოთ გავედით ხალხი ბლომათ მოგროვდა, უმთავრესად ჯარისკაცები.

ამ დროს გამოვიდა ერთი რკინის გზის მუშა-მემანქანე—და გამოგვიცხადა, რომ დაგვეტოვებია სოფელი და წავსულიყავით, რადგან ჩვენ აქ ვემორჩილებით მთავრობას და არც ეს მიწის კანონი გვინდაო. ეს რომ გვითხრა ჩვენ ხალხს—გავაცანით დღევანდელი მთავრობა და მიწის კანონი. როცა ეს გაიგო ხალხმა, დაიშალა. ჩვენც განვაგრძეთ მუშაობა. უნდა გავსულიყავით სოფლის ბოლოში, მეორე მამულის მისაღებათ. უცებ გამოვიდა სახლიდან ხაჩიძეები (3 კაცი) და მორთეს ყვირილი: ხალხო, გამოდით, თავად-აზნაურების მოსყიდული კომისია მიწებს გართმევენო. ზოგი მართლა თოფებით წამოვიდა ზოგი კეტებით რომ დავეხოცეთ. მაგრამ მილიციონერების და ადგილობრივ კომისარის დახმარებით გადავრჩით. ამის გამო სურამის კომისარმა გაგზავნა ცხენოსანი მილიციონერები და დააპატიმრა ის სამი პირი, რომლებიც ასეთ აგიტაციას ეწეოდენ ხალხში ჩვენს წინააღმდეგ. ისინი გაიგზავნა გორის საპყრობილეში.

საყურადღებოა ამ ვაჟბატონების ვინაობა: ესენი ყოფილან აზნაურების მოურავები. ერთი მათგანი პოლიციაში მსახურებდა, ეხლა ხალხი ძლიერ კმაყოფილია ამათი დაპატიმრებით. ხალხი მოდის და გვეუბნება, მაგათი დაჭერით ჩვენ მოვისვენეთო. მათივე წყალობით დაუნგრევიათ იმავე სოფელში აბანო, რომელიც ეხლა სახელმწიფო ფონდში გადავიდა და რომელიც წინეთ მურმანიშვილებს ეკუთვნოდა. ასე სწამლავენ ხალხს პროვოკატორები სოფლათ.

ი. ბალანჩივაძე.

**სენაკის მაზრაში** მუშაობს სამი მიმღები კომისია: სენაკის, აბაში და მარტვილის რაიონებში. კომისიებს მეტისმეტ ცუდ პირობებში მოუხდა მუშაობა. სენაკის მაზრაში მძვინვარე ანარქიამ ძლიერ შეუშალა ხელი. მაზრაში სადგილ-მამულო რეფორმის ცხოვრებაში გატარებას. მიუხედავათ ამისა კომისიებმა მაინც მიიღე: სენაკის რაიონში 14625 დესიატ., აბაშის 1568 დეს., მარტვილის 6,817 დეს. სულ 23,010 დეს. ამ დღეებში ტყის კომისია დაიწყებს მუშაობას.

## ს.-დემ. პარტიაში.

**რკინის გზის სამმართველო.** 16 ივლისს ამხ. ლ. ასათიანის თავმჯდომარეობით შესდგა სამმართველოს მოსამსახურეთა პარტიის წევრების კოლექტივის კრება. სხდომამ იქონია მსჯელობა ადერბეიჯანის მთავრობის გადაწყვეტილების შესახებ მშრომელთა შეუდრეკელ დამცველების ამხ. სანიევის და ალიევის სიკვდილით დასჯის გამო, დაადგინა: სასტიკი გულისწყრომა და ზიზღი გამოეცხადოს იმ მთავრობას, რომელიც სანიევის და ალიევის სიკვდილში ეძებს თავის რეაქციონური მისწრაფებების განხორციელებას. კოლექტივის მთელი შემადგენლობა, რომელიც გამომხატველია საქართველოს რესპუბლიკის სამმართველოს სამი მეოთხედი მოსამსახურეების თვალსაზრისისა, მოითხოვს არამც და არამც ხელიც კი არ ახლონ დემოკრატიის მესვეურთ სანიევს და ალიევს.

მეორე საკითხი შეეხებოდა ზოგიერთ ადმინისტრატორის წინდაუხედავ მოქმედებებს, რაც ჩირქსა სცხებს პარტიას. ამის გამო დადგენილ იქნა კატეგორიული წინადადება მიეცეთ მათ—გაასწორონ თავიანთი შეცდომები და თუ ასე არ მოიქცენ, ორგანიზაციები მიმართავენ უკიდურეს ზომებს.

მასთანვე გამოირკვა მოხსენებიდან, რომ დათხოვნილ პირებიდან ბევრმა ხელობათ გაიხადა პროვოკაციული პროპაგანდა. სამმართველოსთან თავს იყრის ბევრი დათხოვნილთაგანი და მხურვალე შავრაზმულ აგიტაციას ეწევიან. დადგენილ იქნა ეს მოვლენა ეცნობოს რკინის გზის გვარდიის შტაბს.

ამხ. ჩხიკვაძის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ სამმართველოს მოსამსახურეებიდან პარტიაში ყოფილა 161 წევრი, მათ შორის წლის ბოლომდე პარტიული გადასახადი გადაუხდია 85, ხოლო დანარჩენები ფრონტებზე ყოფილან ანარქიასთან საბრძოლველად, რის გამოც გადახდა ბრკოლდება.

ადგილებიდან კოლექტივმა მოისმინა მცირე მოხსენებები

საქარელი მ.

**ყვირილა.** 4 ივლისს შესდგა სხდომა ყვირილა-შორაპნის სოც.-დემოკრატიული კოლექტივს. პირველი საკითხი შეეხებოდა პარტიულ მუშაობას. ამის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. პოლ. გოგიაშვილი. მომხსენებელი აღნიშნავს პარტიულ მუშაობის მოდუნებას ყვირილა-შორაპნის რაიონებში, აღნიშნავს აგრეთვე უმუშევრობის საშინელ შედეგებს და მაგალითად მოჰყავს საჩხერე ჭიათურის რაიონებში მომხდარი ანარქია, მომხსენებელის აზრით, ხსენებულ რაიონებში, რომ პარტიული მუშაობა გაცხოველებულიყო ადგილობრივ ორგანიზაციებს მტკიცე კავშირი ჰქონებოდა სოფლებთან, საშინელ უბედურობას ან არ ექნებოდა ადგილი, ან და იქნებოდა უფრო სუსტ ფორმებში. ოთხი თვე ბარიკადებს აკეთებდენ ჭიათურა-საჩხერის რაიონებში და ადგილობრივმა ორგანიზაციებმა არაფერი იცოდა ამის შესახებ. მომხსენებელი აღნიშნავს ამ ფრიად სამწუხარო მოვლენას და ჩვენს ირგვლივაც, რომ არ განმეორდეს ასეთი გამოსვლები და სოფლებთან გვექნეს მტკიცე კავშირი, მომხსენებელი წინადადებას იძლევა სოფლად მოიწყოს სასწრაფოდ პატარ-პატარა „იაჩეიკები", გაცხოველდეს პარტიული მუშაობა, რომელიც გვიხსნის ასეთი უბედურებისაგან. წინადადება ერთხმად მიღებულ იქნა. კომიტეტმა დაასახელა ამხანაგები, რომლებიც სოფლად მოაწყობენ „იაჩეიკებს" და კოლექტივთან გააბამენ იდეიურ კავშირს.

აგრეთვე პარტიის მატერიალურ მხარეზე იქნა მოხსენება გაკეთებული. გამოირკვა, რომ ფინანსიური სისუსტე კოლექტივს ნებას არ აძლევს დაიქირაოს პროპაგანდისტ ხელმძღვანელები და ამ მიზეზით პარტიული მუშაობა შეფერხებულია, განზრახული საღამო ვერ გამართა და ამ გვარად სახსარს მატერიალურს მოკლებული ვართ. ამ მდგომარეობიდან გამოსვლა მომხსენებელის აზრით შესაძლებელია მხოლოდ კარგი და შინაარსიანი საღამოს გამართვით, მას წინადადება შემოაქვს მოეწყოს პლეხანოვის სახსოვრად საღამო, ამით იდეიურათ შემოვიკრებთ მასას და ფულიც დარჩება კომიტეტს. წინადადება მიღებულ იქნა. აირჩა კომისია, რომელიც მოკლე ხანში გამართავს პლეხანოვის საღამოს.

ქალაქის საქმეების შესახებ: მოხსენებიდან გამოირკვა, რომ დადებითი მუშაობას ვერ ახერხებს ქალაქის გამგეობა, ამ ს მიზეზათ მომხსენებელს მოჰყავს ქალაქის ფინანსიური მხარის ყოვლად უნუგეშო მდგომარეობა. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ხმოსანი ერ. კალაძე ფრონტებზე სიარულის გამო ვერ ახერხებს კრებებზე სიარულს, ამიტომ კომიტეტმა დაადგინა მოხსნილ იქნას ამხ. ერ. კალაძე ხმოსნობის სიიდან და მის მაგიერ ადგილი დაიკავოს შემდეგმა კანდიდატებმა.

ერობის შესახებ კომიტეტმა დაადგინა არას გზით არ შევიდეს ნაც. დემ. ბლოკში, დანარჩენ პარტიებთან შესაძლებლათ მიაჩნია საერობო კომპანიის არჩევნებში ერთად იმუშაოს.

ვერხვი.

## მუშათა შორის

**ჭიათურის ყოფილ მუშების, მოსამსახურეების და უმუშევართა საყურადღებოთ.**

ამხანაგებო! საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ერთი სამრეწველო რაიონი დაგვრჩა, ეს არის ჭიათურა. ომის გამოცხადებიდან დღემდის აქ ნორმალური მუშაობა არ ყოფილა. ყოფილ მუშებს და მოსამსახურეებს ჰგონიათ, რომ მალე დიდი მუშაობა დაიწყება, თითქოს დღესაც იყოს მუშაობა დაწყებული და მოდიან ჭიათურაში.

ამხანაგებო! მუშაობა ჯერ არსად არ დაწყებულა; არც მაღაროებში და არც ქარხნებში, მართალია იტვირთება დღეში 20—40 ვაგონამდის ბ იგზავნება, მაგრამ შეიძლება ესეც შესწყდეს, თუ რკინის გზას სათბობი მასალა არ ექნება. კოლექტიური ხელ-შეკრულობა მუშავდება შავი-ქვის მრეწველებთან, შრომის სამინისტროს წარმომადგენლების თანადასწრებით, მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქოს საყოველთაო მუშაობა იწყებოდეს. აქ ორი გერმანული ფირმაა, რომელთა მოთხოვნით ხელ-შეკრულება მუშავდება, მაგრამ როგორც ირკვევა, მათ დამზადებული ქვის გატანა ეჩქარებათ და ჯერ არც ისინი ეპირებიან ქარხანა-მაღაროში მუშაობის დაწყებას, დანარჩენი მრეწველები კი, საერთო ბაზრის და დარდანელის გახსნამდე, ვერ იმუშავებენ ნორმალურად. ვაცხადებთ ყველას საყურადღებოთ, როგორც ყოფილ მუშა-მოსამსახურეთა, ისე უმუშევართა, რომ აიცდინონ ყოველივე ხარჯები აქ ჩამოსვლით, თან სურსათი სრულიად არ იშოვება და ნუ მოდიან ჭიათურაში. როცა მუშაობა დაიწყება პრესის და სხვა საშვალებითაც გაცნობებთ ადრევე.

ვსთხოვთ სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს ცნობა.

ჭიათურის სამრეწველო რაიონის მუშათა კომისიების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე მელენტი დობორჯგინიძე მდივანი ა. კობიძე.

## პროვინცია

**თუშეთი.** თუშეთში საშინელი ამბებია. სხვადასხვა სოფლებს ეცემიან ქისტები და მიაქვთ, რაც მოხვდებათ. ამას წინათ გარეკეს ხუთი ფარა ცხვარი ლაზნის თავიდან წოა თუშებისა. სროლის დროს მოკლეს ორი კაცი ჩაღმა და პირიქითელი. მუდამ დღე მიუდით საქონელი, აღარაა მოსვენება. რა უნდა ქნას საწყალმა ხელ მარტო მწყემსმა; როდესაც ულრანს ხეობაში ან და მთის კალთაზე მარტოკა დარაჯობს საქონელს ამ დროს გარს ეხვევა შუაღამისას ბრბო ქისტებისა უნდა დანებდეს მათ თავისი საქონლით. ან არა და შეაკლას თავი.

წინათ ჯარისკაცები გაგზავნეს მათ წინააღმდეგ, მაგრამ მალე დაიშალა. ეხლა სულ მთლათ უპატრონოთ არის, თუშეთი. თუ ყურადღება არ მიექცა უეჭველია ამ ზაფხულს ჩაღმა-პირიქითის ხეობაში მტერი ითარეშებს. თუმცა სოფლები ყარაულებს გზავნიან, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. იმედია, რომ ჩვენი მთავრობა მიაქცევს სერიოზულ ყურადღებას ამას და მალე იქნება საჭირო ზომები მიღებული.

ერთობის ამხანაგი.

**ს. ჩიბათი** (გურია). ამ დღეებში აქ მოხდა პარტიის წევრთა კრება. კრებამ გ. პლეხანოვის ხსოვნას ფეხზე ადგომით პატივი სცა.

მოხსენება გააკეთა მომენტზე რაიონის კომისარმა ამხ. ე. ჩახვაძემ. მერე მოხდა აღწერა პარტიის წევრებისა. ახლათ ჩაეწერა 89 წევრი. არჩეულ იქნა ახალი კოლექტივი ხუთი კაცისაგან.

ამავე დღეს კომისარმა დააპატიმრა და ოზურგეთის ციხეში გაგზავნა მავნე მოქმედებისთვის ადგილობრივი ბალშევიკების მეთაური ს. გოგიჩაიშვილი და ვ. კუნჭულია.

აქ მივიღეთ ლანჩხუთში მოსულ სურსათის ნაწილი 50 ფუთი ქერი, 9 ფუთი სიმინდი, რომელიც განაწილებული იქნა უკიდურეს გაჭირვებულებზე, მარა ეს წვეთია ზღვაში. საჭიროა კიდევ დახმარება. აქა-იქ თავი იჩინა ქურდობამ რომლის წინააღმდეგ ზომები მიღებულია. მოკლე ხანში აქ გვექნება ტელეფონი და ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება.

ხ. შხანკოლა.

**მონასტერ-ჯანიეთური** (გურია). 27 ივნისს (ძველი სტილ.) მოხდა მონასტერ-ჯანიეთურის მომხმარ. საზოგად. „განახლების"-ს წევრთა საზოგადო კრება.

დღის წეს-რიგში იყო შემდეგი: 1) სარევ. კომისიის მოხსენება 2) ანგარიშის გამოტანა 3) არჩევნები გამგეობის და სხვა წვრილმანი საკითხები. მოხსენებას აკეთებს სარევიზიო კომისიის წევრი კ. კვაჭანტირაძე. ის აღნიშნავს დღევანდელ კოოპერატივების მდგომარეობას და ამბობს, რომ საჭიროა გამგეობამ კავშირს გარეშეც ეძიოს საქონელიო, შემდეგ აცნობს კრებას 24 იანვრიდან 27 ივნისამდი დუქნის ანგარიშს, საიდანაც ირკვევა შემდეგი: აქტივი: საქონელი 3.423 მ. 78 კ. ინვენტარი. 194—50 კ. საწევრო ნატან. და ამიერ-კავკას. კავშირში. 781 მ. 25 კ. კასაში. 5.155 მ. 79 კ. ავანსად საქონლისათვის 2.149 მ. 10 კ. დუქანს აქვს ასაღები 191 მ. სულ 11.940 მ. 42. პასივი: საწევრო და საპაიო 1422 მ. ვალები თავის პროცენტიანა 8.992—75 კ. გასული წლის მონაგები 980—96 კ. სულ 11.295 მ. 71 კ. მოსაგები 644 მ. 71 კ. ეს ანგარიში კრებამ დაამტკიცა და მოსაგები სათად. თანხაში გადაირიცხა. შემდეგ მოხდა არჩევნები. ახლათ არჩეულ იქნენ ლ. მიქატაძე და კ. ქათამიძე, დარჩნენ კ. თოიძე. კანდიდ. მიხეილ ცერცვაძე.

აქვე არ შემიძლია არ აღვნიშნო, ზოგიერთი წევრების დაუდევრობა, რომლებიც ავრცელებენ არა საკადრის ხმებს და მით მომ. საზ. აზარალებენ.

ა. ჯანიეთურელი.

**სამტრედია.** 7 ივლისს სამტრედიის რაიონის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს შემადგენლობამ იქონია მსჯელობა იარაღის ნებართვის შესახებ და დაადგინა შემდეგი: რადგან უკვე წარსულმა დაგვანახა, რომ ხალხის შეიარაღებას მოყვა სამოქალაქო ომი საქართველოს ნაწილებში, ქვეყნათ გამეფდა ანარქია, თავი იჩინა ბნელმა ძალებმა, რომლებიც განადგურებას უქადიან ჩვენს რესპუბლიკას, ყველა ეს გამოიწვია ხალხის შეიარაღებამ. ერთხმათ ადგენს: აეკრძალოს სამტრედიის რაიონში იარაღის ნებართვა, კერძო პირებს, ვინც არ ემსახურება თავდაცვის საქმეს. იარაღის ნებართვა ეძლევა წითელ გვარდიას, მილიციას, საბჭოს და აღმასრულებელი კომიტეტების წევრებს. ერთი სიტყვით ყველა იმ პირებს, რომლებიც თავდაცვის თანამდებობაში მსახურებენ. საბჭომ სურვილი გამოსთქვა ზემო-აღნიშნული გადაწყვეტილება მოეფინოს მთელს ქუთაისის გუბერნიას, რათა შეიარაღება მოისპოს, რითაც შეიძლება მოისპოს ის ანარქია, რომელიც არის გამოწვეული შეიარაღების გამო. და ამ ზემო-აღნიშნულ გადაწყვეტილების საშვალებით დამყარდეს წესიერება და მით ხელი შეუწყოთ ხალხის მშვიდობიანი მართა-გამგეობას. საბჭოს დავალებით მდივანი: აპოლონ ჯიბლაძე.

## წერილი რედ. მიმართ

„ერთობის" მე-147 ნომერში „კიდევ მასლაკინის შესახებ" წერილში ნახსენებია სხვათა შორის ჩემი გვარიც. ვითომ მე მასალკინს „გაპანძღული და შეურაცხყოფილი" გამოვესტუმრებინე კაბინეტიდან. მართალია, ამხ. მასალკინი პირველათ ძლიერ მკვახეთ შემხვდა: „გაეთრიე აქედანო—მოაძახა—მანამ აქედან გაგიყვანენო", მაგრამ თითონ გაყვანას არ ჰქონია ადგილი. ამ სიტყვების შემდეგ თითქმის ერთი საათი კიდევ ვიკამათეთ. ეს მოხდა ოთხი კაცის თანადასწრებით. მე ამხ. მასალკინს არ ვიცნობდი და დღესაც არ ვიცნობ კარგათ, მაგრამ იმ ამხანაგებს, რომლებიც დაახლოვებით იცნობენ მას, არა ერთხელ უქიათ, როგორც პატიოსანი, გულკეთილი, თავდადებული სოციალისტი და წამებული კაცი. ამიტომ მე ამ ინცინდენტის გამოქვეყნება სრულიათ არ მინდოდა. ეს არ მითქვამს კოლექტივშიაც კი, რის წევრიც მე მაშინ ვიყავი. მქონდა სისუსტე, შემეჩივლა ზოგიერთი ამხანაგებისათვის, თუმცა არავისთვის არ დამირთავს ნება ამის გამოაშკარავებისა, რისთვისაც ძლიერ ვწუხვარ და პროტესტს ვაცხადებ, რომ ჩემდა დაუკითხავათ ჩემი გვარი გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნდეს.

ვანო ომანიძე.


**იყიდება** ავტომობილი ნაპირის სისტემისა, სამი მეოთხედი ტონი 7—ადგილით, თავისუფალი რეკვიზიციისაგან, გამოსადეგია შორი მგზავრობისათვის.

მისამართი: ვარდისუბნის ქ. № 32 და გუნიბის ქ. № 44 კუთხე საღამოს 4—7 საათამდე. (1—1)

**დაიკარგა** 4 თურქესტანის მსროლელ დივიზიის 1-ლი ლაზარეთის ღერბის ბეჭედი („კაუჩუკის") ვსთხოვთ ყველა დაწესებულებას, რომლებიც აწვდის სამხედრო ნაწილებს სურსათს და სხვ. არ დააკმაყოფილონ ამ ბეჭედ დასმული მოთხოვნილებანი, თუ ის არ იქნება შემოწმებული დივიზიის უფროსისაგან.

ბეჭედის მნახველს კი ვსთხოვთ დაგვიბრუნოს ის უკან, რაზედაც მიიღებს შესაფერ ჯილდოს. ადრესი: მალაკანის ქ. № 52. უფროსი ექიმი ეფრემოვი. (2—1)

**იყიდება**

„ნემეცური" ძროხა; სად. ნატანები ს. ახალსაყდარი იკითხეთ დიმიტრი გუჯაბიძე. (3—1)

**კერძო მიხეილის სამკურნალო**

მუდმივი ლოგინებით. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან. მიხეილის პროსპექტი, 167.

**სამკურნალო კაბინეთი ექიმი ალექსანდრე დავ. კეკელიასი**

მიიღება: კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ ტელეფონი 14—26

**ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი**

მედიცინის დოკტორი მიუნხენის უნივერსიტეტის შინაგან სნეულებით, საბავშვო, საბებიო და საშვილოსნო სნეულებით ავადმყოფთ იღებს ყოველდღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. უფასოთ იღებს ყოველ-დღე დილ. 7—8 საათ. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

**ექიმი დ. ი. ჯაფარიძე**

მიიღებს შინაგანის, ... ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ტელეფონი 17—49.

**ექიმი ლ. ი. ცაგარელი.**

იღებს ავათმყოფებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანს, ყოველ დღე დილის 8 ნახ.—10 საათ. საღამოს 5—7 საათ. სერგიევის ქუჩა 14, ბინა 2. ტელეფონი 10—82.

**ექიმი ა. დ. ციციშვილი**

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. ავათმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათამდე, საღ. 5—7 ს. ჩერქეზოვის ქუჩა № 14.

**ექიმი ვ. კედიაშვილი.**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღეს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4. კუთხე მიხეილოვის პროსპექტის—კიროჩნი ქუჩის მახლობლათ. ტელეფონი 8—48. ვაგზლის სამკურნალოში იღებს ყოველ დღეს 12—2 საათამდე.

**ექ. ქალი რ. ბ. შიშლო-საგაშვილისა**

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 83. ტელ. № 9—26.

**ექიმი ნ. ი. მახვილაძე**

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) დამისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.

**ექიმი ზ. მ. მუხაძე**

იღებს საღოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; მოიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელ. № 5—77.

**გაიხსნა თვალის სამკურნალო**

(მუდმივი საწოლებით)

პარიზისა და ვენის უნივერსიტეტის თვალის კლინიკის ყოფილი ასისენტის

**ექიმ დონხინისა.**

იღებს თვალის ტკივილებით ავათმყოფებს დილის 9—1 საათ. და საღ. 4—7 ნახ. საათ. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს" ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციო პირები მიიღებიან სრული პანსიონით.


## ქალაქის საბჭოს სავალდებულო დადგენილება

**ქ. თფილისში მიცვალებულთა და დაბადებულთა შესახებ ცნობების მიწოდებაზე**

სახლის პატრონები ვალდებულნი არიან აცნობონ ქალაქის გამგეობის მედიკო-სანიტარულ ბიუროს მათ სახლში მიცვალებულთა და დაბადებულთა შესახებ, ორი დღის განმავლობაში. ცნობები უნდა დაიწეროს სპეციალურათ საამისოთ გამომუშავებულ ბარათებზე, რომელთა მიღება შეიძლება მედიკურ-სანიტარულ ბიუროში და საუბნო კომისარიატში. ვინც ამ დადგენილებას არ შეასრულებს, პასუხისგებაში იქნება მიცემული მე-29 მუხლის ძალით. სახლის კომიტეტებმა თვალ-ყური უნდა ადევნონ სახლის პატრონებს, რომ ეს დადგენილება აასრულონ.

სახლის პატრონების მაგიერ ცნობების მოწოდება შეუძლიათ აგრეთვე სახლის გამგეებს, მეიჯარადრეებს და სახლის კომიტეტებს. (2—1)


## განცხადება

**„ქართული საავტომობილო და სააქციონერო საზოგადოება".**

ეს საზოგადოება შესდგა 1918 წ. ქ. ქუთაისში.

მისი მიზან-დანიშნულებაა, მოაწყოს სრულიად საქართველოს იმ კუთხე-მხარეებში, სადაც რკინის გზები და ავტომობილები არ არის ხაზარგო და სამგზავრო ავტომობილების მიმოსვლა, რათა მძიმე აუტანელ მდგომარეობიდან იხსნას ხალხი. საზოგადოების ძირითადი თანხა ამ ჟამად 300,000 მანეთამდე აღწევს. საზოგადოებამ თავის წესდების თანახმად გამოსცა ყველასათვის ხელმისაწვდომი 500—500 მანეთიანი აქციები და მსურველს მისი ყიდვა-შეძენა შეუძლია საზოგადოების თავმჯდომარესთან დომენტი ოტიას ძე ბენდუქიძესთან თავის საკუთარ მექანიკურ ქარხანაში, ანდრეევის ქუჩაზე № 65 თფილისში. აგრეთვე იქვე საზოგადოების ხაზინადარ-მოლარესთან მალაქია გლახუას ძე ნატბელაძესთან. საზოგადოების უმთავრესი დამაარსებელნი: დომენტი ოტიას ძე ბენდუქიძე, მალაქია გლახუას ძე ნატბელაძე, იაკინთე გიორგის ძე ჯებაშვილი, გიორგი ალექსანდრეს ძე ქარსიძე, გენადი გიორგის ძე ალავიძე და ვლადიმერ მალაქიას ძე ჯაფარიძე. (3—2)


სოც.-დემ. პარტიის საოლქო კომიტეტთან მოეწყო გაფართოებული სეკრეტარიატი, რომელიც აძლევს პროვინციის ორგანიზაციებს პასუხს ყოველგვარ შეკითხვებზე. სეკრეტარიატი მოთავსებულია „ერთობის" რედაქციის გვერდით, გოლოვინის პრ. № 12. აქვე ხდება პროპაგანდისტების ჩაწერა პარტიულ საქმეებზე სამუშაოთ. ბიურო ღიაა დილის 9—2 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. ტელეფონი № 16—62.


## მოითხოვეთ სამკურნალო ბორჯომის წყალი

ერთად-ერთი წარმომადგენელნი მიწათმოქმედების სამინისტროსი ბორჯომის წყლის ექსპლოატაციისა, ამით აუწყებს ბითუმათ („პარტიობით") მყიდველებს, რომ ფასდადებით და ნისიათ წყალი არავის გაეგზავნება. ვაგონების დაუყონებლივ მოწოდება უზრუნველყოფილია.

მისამართი: ბორჯომის კანტორა, „ბორჯექსპორტი". (15—15)


მაწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაზაევის შესახვევი, № 1.